

მორენა შარია  
ქათავან გოგინაშვილი

საბჭოოპირული ხურმის  
ციტოგანეტიკური  
თავისებურებანი

თბილისი

2009

UDC (უაკ) 634.451:575.17

გ-26

მონოგრაფია მიძღვნილია საქართველოში შემოტანილ  
ყოველმხრივ სასარგებლო მცენარის სუბტროპიკული ზურმის  
(*Diospyros Kaki*) რეპროდუქციული სისტემის ციტოგენე-  
ტიკური თავისებურებების შესწავლისადმი.

**რედაქტორი:** იოსებ ქაპანაძე

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**რეცენზენტები:** ათენგორ შათირიშვილი

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების  
მიმართულების სრული პროფესორი

## ნანა დვალიშვილი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ISBN 978-9941-0-1760-5

# შინაგანი

შესავალი	5
<b>თავმი I. ხურმის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა</b>	6
1.1. ხურმის გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში	8
1.2. ხურმის ინტროდუქცია საქართველოში	10
1.3. აღმოსავლური ხურმის ჯიშური ასორ-ტიმენტი და სელექციური გენოფონდი	11
<b>თავმი II. კვლევის პირობები, ობიექტები და მეთოდიკა</b>	22
2.1. აფხაზეთის კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება	22
2.2. კვლევის ობიექტები და მეთოდიკა	25
<b>ექსპერიმენტული ნაწილი</b>	30
<b>თავმი III. პერსიმონის რეპროდუქციული სისტემის         ცისპოვნებული თავისებურებანი</b>	30
3.1. მეიოზის გენის მოქმედება, ქრომოსომათა საბაზისო რიცხვი და დამტკერვის პოზიტიურობა	30
3.2. პერსიმონის სქესის მემკვიდრეობის თავისებურებანი	36
3.3. ხურმის ნეოტენურ თესლნერგთა კარიოტიპური სეგრეგაცია	39
3.4. ანუპლოდიის მოვლენა იაპონურ პერსიმონში	45
3.5. მეიოზი და თესლის წარმოშობა იაპონური ხურმის ჯიშებში პაჩიასა და გეილში	50
3.6. მამრობითი გამეტოფიტის განვითარება ხურმის მინორულ ვარიაციებში და მათი სქესობრივი აქტივობა	52
3.7. საძირის და სანამყენეს კალუსის გაერთიანება და მისი დაკვირტვა	58

3.8. დამტვერვის როლი სუბტროპიკული ხურმის მოსავლიანობისა და ნაყოფთა ხარისხის გაზრდის საქმეში	64
3.8.1. ბუნებრივი დამტვერვის დროს	64
3.8.2. იზოლაციის დროს	65
3.8.3. დამამტვერიანებლის როლში კავკასიური ხურმის გამოყენების დროს	68
3.8.4. დამამტვერიანებლის როლში ვირჯინის ხურმის გამოყენების დროს	69
3.8.5. იაპონური ხურმის გეილით დამტვერვის დროს	72
3.8.6. დამამტვერიანებლის როლში ზენჯიმარუს გამოყენების დროს	72
3.8.7. დამამტვერიანებლის როლში ვანვენლიანის გამოყენების დროს	73
<b>თავი IV. ხურმის წარმოებისა და სელექციის პერსპექტივები</b>	<b>80</b>
4.1. ნედლი და მშრალი ხურმის დეგუსტაციური შეფასება	80
4.2. იაპონური პერსიმონის მაღალმოსავლიან გენოტიპთა შერჩევა	84
<b>დასკვნები</b>	<b>90</b>
<b>პრაქტიკული რეკომენდაციები</b>	<b>92</b>
<b>ლიტერატურის სია</b>	<b>95</b>
<b>დანართი – ხურმის ძირითადი ვარიაციების ფოტოილუსტრაცია</b>	<b>99</b>

## შესავალი

საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივ – სამეცნიერო ორგანიზაციებში და კერძო პირთა ნაკვეთებზე თავმოყრილია პერსიმონის დიდი გენოფონდი, მათ შორის, ინტროდუცირებული ჯიშ-პოპულაციებიდან: ხიაკუმე, ჰაჩია (მისი 16 ფორმა), აილანტა, ჯირო, ემონი, გოშოგაკი, ცურუნოკო, ზენჯიმარუ, ფურუ, კოსტატა, გეილი (დამა-მტვერიანებელი), ტანენაში (ფერტილური), ტანენაში (სტე-რილური), სიდლესი და ტამოპანი (სტერილური); ადგი-ლობრივი ჯიშ-პოპულაციებიდან: ზენჯიმარუ (პერმაფროდი-ტი), მე-20 საუკუნე, ჩინებული (სელექციური), გეილი 2n=45 (ტრიპლოიდური) და ფურუ (ნულისომური).

ცნობილია, რომ სუბტროპიკული ზურმის ჯიშური ასორტიმენტი ძირითადად წარმოშობილია მყნობის დროს სო-მატური ცვალებადობის შედეგად (Iamoda Mosohiki, 1993).

არსებული მასალების საფუძველზე დღის წესრიგში დადგა პერსიმონის (Diospyros Kaki L.) რეგენერაციული სისტემის ციტოგენეტიკური თავისებურებების შესწავლა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მისი რეპროდუქციის გაძლიერებას და ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ მიზნით დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. ქრომოსომათა საბაზისო რიცხვის დადგენა.
2. სქესის მემკვიდრეობა.
3. კარიოტიპური სეგრეგაცია და რეინტეგრაცია.
4. ანეუპლოიდის მოვლენა და მისი ტიპები.
5. მინორული ვარიაციების სქესობრივი აქტივობა.
6. ქიმერების წარმოშობა ტრანსპლანტაციის (მყნობის) დროს.
7. ჯვარედინი დამტგერვა და მისი კავშირი მსხმოიარო-ბასა და ნაყოფის ხარისხთან.
8. სელექციის მთავარი მიმართულება.

## თავი I

### ზურმის სახალხო-სამეურნო მიმღველობა

სუბტროპიკულმა ზურმამ (*Diospyros Kaki* L.) საქართველოში ინტროდუცირების მომენტიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც უმაღლესი კატეგორიის სადესერტო ხილმა, ძვირფასი მერქნის მქონემ და საკულინარო ობიექტები. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მის მოშენებასა და შესწავლას დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ როგორც საღირექტივო სამეცნიერო ორგანიზაციები, ასევე კერძო პირები (Мурри, 1941; Джинчарадзе, 1947; Зарецкий, 1934; Курдиани, 1935; Зактрегер, 1937).

ზურმა თავისი გემური თვისებებითა და ყუათიანობით წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო და საყურადღებო კულტურას, რაზედაც მიუთითებს თვით მისი სახელწოდება. მისი გვარობრივი სახელწოდება *Diospyros* ნიშნავს “ღმერთების საჭმელს”, სახეობრივი – *Kaki* კი “რჩეულ ნაყოფს” ან ნაყოფთა ნაყოფს (Hume, 1914; Fletcher, 1928; Найбиева, 1963; Алексеев, 1935).

ზურმის ნაყოფის მაღალი ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ ის შეიცავს თითქმის ყველა ცნობილ ვიტამინს საკმარისი რაოდენობით, ცხიმოვან მჟავებს და მიკროელემენტებს, მიკროელემენტებიდან – იოდს, რკინას, მოლიბდენსა და მაგნიუმს, მთელ რიგ ბიოგენურ ნივთიერებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ნივთიერებათა ცვლისათვის. შაქრებიდან შეიცავს ფრუქტოზას, გლუკოზას, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ხელს უწყობს ტრანსფერონის (შრატის ცილა) წარმოქმნას (Iamoda Mosohiki, 1993).

გავილოვის სახელობის საკავშირო მემცნარეობის ინ-  
სტიტუტის სოხუმის ფილიალის ბიოქიმიის ლაბორატორიის  
1970-1976 წლების მონაცემების მიხედვით აფხაზეთში  
გავრცელებული ხილის შაქრიანობა (პროცენტებში) ასეთია:  
ქლიავი (შაქრლიავი) – 8-13%, ატამი – 9-14%, კოში – 6-  
11%, იაპონური ზღმარტლი – 10-17%, მსხალი – 8-16%,  
ვაშლი – 6-14%, ლელვი – 16-21%, მანდარინი უნშიუ – 4-  
7%, გრეიფრუტი – 7-9%, უნაბი – 10-14%, სუბტროპიკუ-  
ლი ხურმა – 18-26%.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხურმის ჩირი, თუ ის  
მომზადებულია საჩირე უთესლო ჯიშებიდან, როგორიცაა:  
ტანენაში, ტამოკანი, სიდლესი, ჰაჩია (უთესლო) და ფუიუ  
(უთესლო), რომლებშიც შაქრიანობა აღწევს 65%-ს. ნედლი  
სახით მაღალი დიეტური თვისებებით გამოირჩევიან ჩინე-  
ბული, ჰაჩია, გოშოგაკი, ჯირი. მედიცინაში სუბტროპიკული  
ხურმა გამოყენება ანგინის, სურავანდის, კოლიტის, სისხლ-  
ნაკლებობის სამკურნალოდ (Iamoda Mosohiki, 1993;  
Гогулан, 1997).

პლინიუსის მონაცემების მიხედვით ხურმის ნაყოფი  
უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინაში (ანგინის,  
კოლიტის, სისხლნაკლებობის სამკურნალოდ (ბუნების ისტო-  
რია, 20-27 ტ.), (მაგრამ იმ პერიოდში ხურმა იწოდებოდა  
ფინიკის ქლიავად (Зарецкий, 1934; Uoxanhes Umper, Penate  
Uone, 1993).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ  
სუბტროპიკული ხურმის ჩამოცვენილი ფოთლები (ბუნებრივი  
ფოთოლცვენის დროს) შეიცავს დიდი რაოდენობით ტანინს  
და მისი გამოყენება შეიძლება ხურმის ჩაის დასამზადებლად  
(Sacuma, 1991).

ხურმა ითვლება საუკეთესო დეკორატიულ მცნარედ,  
ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გეილის, ცურუ-

ნოკოს, ფურუს და ზენჯიმარუს ჯუჯა ზამთარში მწიფადი ფორმები.

ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, ხურმა, როგორც უხვნექტარიანი, წარმოადგენს მეფუთკრეობისათვის საყურადღებო მცენარეს, იგი გამოიყენება აგრეთვე, ტყავის დასათრთიმლავად და სახარატე საქმეში, ძვირფასი ნივთების დასამზადებლად და მოსაპირკეთებლად.

## 1.1. ჩურმის გამრცელება მსოფლიოს სევადასება მგებებში

მერქნიან კულტურათა შორის ხურმას (*Diospyros Kaki*) მეცნიერები თვლიან ერთ-ერთ უძველეს გვარად. მისი ტაქსონები ნაპოვნია ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის, ლიბანის, ჩრდილოეთ ამერიკის, გრენლანდიის, ალიასკის, ჩრდილოეთ იაპონიის, ბრიტანეთის კუნძულებზე, არაბეთის ქვეყნებში ცარცული პერიოდის შრეებში.

ისეთი სახეობები, როგორიცაა: *D.onceps* Heer; *D.brahysepala* A., *D.fricoides* Lesq., *D.latoides* L., *D.Lotus* L., *D.paradisiaca* Ettingh., *D.primaeva* Heer., *D.sp.* აღმოჩენილია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცარცულ და მიოცენურ დანაშრევებში ფოთლისა და ნაყოფის ჯამის ფოთოლაკების ანაბეჭდების სახით. რაც შეეხება ხურმის სახეობებს, რომლებიც არსებობდა მესამეულ პერიოდში, ჩრდილოეთ პოლარული არქტიკის მხარეში, გამყინვარებას ისინი მთლიანად გაუნადგურებია (Нестеренко, 1950; Гутиев, 1958; Найбиева, 1963).

ხურმის გვარი ითვლის 200 სახეობას, რომელთაგანაც 100 სახეობაზე მეტი ტროპიკული და მარადმწვანეა. ფოთოლმცვენი სახეობები ხარობს დედამიწის სუბტროპიკულ

და ზომიერ ზონაში. ფოთოლცვენია სახეობებს მიეკუთვნება: Dornata Hensh., D.sinensis B. L., D.tesellaria Boir., D.texana Schull., D.virginiana L., D.Lotus L., D.Kaki L.

კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებში ენდემურად ითვლება მხოლოდ D.Lotus L. ამ გვართან ერთად ზემოთ დასახელებული რეგიონების ხელოვნურ ნარგაობებში გვხვდება ხურმის შემდეგი სახეობები: D.Sinensis B.L., D.virginiana L., და D.Kaki L. ვეღურ მდგომარეობაში D.Kaki გვხვდება უმთავრესად ჩინეთის მთების მერიდიანულ ფერდობებზე ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე (Жуковский, 1971).

ჩინეთში ხურმა კულტურაში უნდა ყოფილიყო ჩვენს ერამდე, მაგრამ ამის შესახებ ისტორიული ცნობები შემორჩენილი არ არის. ოფიციალურად კი პერსიმონის კულტივირების შესახებ ცნობებს ვნანულობთ მხოლოდ XVII საუკუნიდან. ჩინეთიდან ხურმის ფორმები გადატანილი იქნა იაპონიაში. იაპონიიდან ჩინური ხურმა გავრცელდა ევროპასა და ამერიკაში. ამერიკაში იგი ცნობილია “იაპონური” პერსიმონის ანუ აღმოსავლური ხურმის სახელწოდებით (Hume, 1914; Fletcher, 1935).

დღეისათვის სუბტროპიკული ხურმის მსოფლიო გავრცელების არეალი ძალიან დიდია და მოიცავს მთელ რიგ რეგიონებს კავკასიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ შვეიცარიაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჩინეთში სუბტროპიკული ხურმის დაახლოებით 800 ჯიშია ცნობილი. მათ შორის უფრო გავრცელებული ჯიშებია: შანსი, შენ-სი, ხოპანი, შან-ტუნგი, შანდუნი, ჩტაცზიანი, ფუნძიანი და ხენონი (Зарецкий, 1934). უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის მეზილეობაში სუბტროპიკული ხურმა იკავებს პირველ ადგილს. იაპონიაში კი სუბტროპიკული ხურმა ციტრუსების შემდეგ მეორე ადგილზეა.

სადღეისოდ იაპონიაში, ფАО-ის მონაცემებით, ხურმის პლანტაციებს უჭირავს 90 ათასი ჰექტარი. კომერციული მიზნებისათვის ხურმა მოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის, ფლორიდის, ალაბამის, ტეხასის, ჯორჯიასა და მისისიპის შტატებში (Зарецкий, 1934; Camp, 1929; Ryerson, 1933).

ესპანეთში ეს კულტურა გვხვდება ყველგან, განსაკუთრებით კი ვალენსიაში, ვერონასა და გრინადაში. სუბტროპიკული ხურმა აგრეთვე მოჰყავთ თურქეთში, სამხრეთ საფრანგეთში, იტალიაში, კორნეაში, ირანში, ავღანეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ინგლისში (Hume, 1914; Жуковский, 1971).

## 1.2. ხურმის ინტროდუქცია საქართველოში

სუბტროპიკული ხურმის შემოტანა საქართველოში და-თარიღებულია 1888-1889 წწ. იგი დაკავშირებულია ა.ი.ვე-დენსკის სახელთან (ქ. სოხუმი), რომელმაც საბალო გაერთიანების “Синоп”-ის საშუალებით საფრანგეთიდან გამოიწერა იაპონური ხურმის ნერგები. ამის შემდეგ ხურმის ნერგები რამდენჯერმე შემოიტანა პ.ე. თათარინოვმა (Зарецкий, 1934).

სუბტროპიკული ხურმის შემოტანაში გარკვეული როლი შეასრულა თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა (1892 წ.), რომელმაც იტალიიდან შემოიტანა ხურმის დიდი კოლექცია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფ. კრასნოვის და აგრონომ კლინგენის ექსპედიცია. მათ 1895-1896 წწ. უშუალოდ იაპონიდან ჩაქვში (ბათუმი) ნერგების სახით შემოიტანეს აღმოსავლური ხურმის 12 ჯიში. ეს ფაქტი საქართველოს კულტურული ფლორის ისტორიაში ცნობილია “აღმოსავლეთის 12 საჩუქრის სახელით (Джинчарадзе,

1954). აღნიშნული ფაქტების შედეგად საქართველოში მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობდა სუბტროპიკული ხურმის მრავალი ჯიში.

ხურმის კულტურას უდიდესი ყურადღება მიაქცია საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ. მათი მითითებით აღმოსავლეთ საქართველოში გაიხსნა ხურმის ათვისების საყრდენი პუნქტები წნორის წყალსა და სიღნაღმი. ამასთან ერთად ჩატარდა ხურმის ჯიშთა სტანდარტიზაცია. იმ დროისათვის საქართველოს ხურმის ასორტიმენტში უკვე ირიცხებოდა 87 ჯიში, რომელთა შორის უმრავლესობა ერთმანეთის ანალოგი აღმოჩნდა (Джинчарадзе, 1947).

ამგვარად, საქართველო მე-XX საუკუნის 30-40-იან წლებში გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი იქნა აღმოსავლური ხურმის ძირითადი ჯიშები. ამის შემდეგ იწყება საქართველოდან აღმოსავლური ხურმის ჯიშების აქტიური გატანა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში (Покровская, 1937; ეფიანდჯან, 1952).

ვავილოვის სახელობის საკავშირო მემცნარეობის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში, მე-XX საუკუნის 50-იან წლებში ტარდებოდა საქართველოში არსებული სუბტროპიკული ხურმის ყველა ჯიშის ბიოქიმიური შესწავლა.

### **13. აღმოსავლური ხურმის ჯიშური ასორტიმენტი და სელექციური გენოფონდი**

აფხაზეთში გვხვდება ყველა ის ჯიშ-პოპულაცია, რომელიც გავრცელებულია შავი ზღვის კავკასიის სანაპირო ზონაში. ეს ჯიშ-პოპიულაციები ჩამოთვლილია ქვემოთ და მოცემულია მოკლე ფენოტიპური დახასიათება.

საუცხოო 2901 (საწარმოო ჯიში). მისი სინონიმია მე-20 საუკუნე. ხე ძლიერმოზარდია. კომპაქტური სფერული ვარჯით და ხშირი შეფოთვლით. ახალგაზრდა ტოტები დაფარულია ნაცრისფერი ფიფქით და მეჭეჭებით. ფოთლები ღიღი ზომისაა, ფართუ-ოვალური. ფოთლის წვერო მახვილია, ფუძე მომრგვალო. ფოთლის ზევითა ნაწილი მუქი მწვანეა და დაფარულია ფიფქით. ქვედა კი იუვინალურ ასაკში შებუსულია მცირე ზომის ტრიქომებით. წარმოშობს ჰერმაფორო-დიტულ ყვავილებს, მაგრამ მის მტვრიანებში არ ხდება სპოროგენული ქსოვილის წარმოქმნა. ნაყოფები ღიღია, წონა 150-250 გრამამდე, ბრტყელი, ოთხწახნაგიანი. წახნაგები იწყება ნაყოფის წვეროდან და მთავრდება მის ფუძეში. ჯამის ფოთოლაკები ოთხია, მოხრილია გარეთკენ. ნაყოფი შეფერილია ნარინჯისფერ-წითლად, დაფიფქულია. რბილობის ფერი ნა-რინჯისფერ-წითელია, მკვრივი კონსისტენციით, სასიამოვნო ტკბილი, სიმწკლარტე თითქმის არ იგრძნობა. მწიფდება ნოემბერში. მსხმოიარობა უხვია. 25 წლიანი ხის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 200 კგ. ნაყოფი გამოიყენება ნედლად, დარბილებამდე და დარბილების შემდეგ. შენახვისა და ტრანსპორტაბელობის უნარი კარგი აქვს. იძლევა საუკეთესო ჩირს. თესლი მომრგვალოა, ნაყოფში 4-8-მდე. ჯიში ითვლება ქართული სელექციის შედევრად.

ხიაკუმე 1701 (საწარმოო ჯიში). ხე ძლიერმოზარდია, გუმბათისებრი ვარჯით. ფოთლები საშუალო ზომისაა. ფოთლის სიგრძეა 11-15 სმ, სიგანე კი 6-11 სმ. იუვინალურ ასაკში ფოთლის ფირფიტის ქვედა დაფარულია ბუსუსებით.

ტექნიკური სიმწიფის დროს ნაყოფი ღია ნარინჯის-ფერია. მომწიფებული ნაყოფი მუქი წითელია. მომწიფების დროს ნაყოფს აპიკალურ ნაწილში უჩნდება მუქი ნაცრის-ფერი ზოლები ოიკოპლასტების (ჯირკვლის უჯრედები) თავმოყრის ზონაში. ნაყოფის კანი სქელი და მკვრივია. თეს-

ლიანი ნაყოფის რბილობი მუქი წაბლისფერია ჟელესებური კონსისტენციით. გემო ძალიან სასიამოვნოა. უთესლო ნაყოფების რბილობი მოწითალო-ნარინჯისფერია, მომწკლარტო. 25 წლიანი ხის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 144 კგ. თესლი მოგრძო მუქი წაბლისფერია. ღამტვერილ ნაყოფში გვხვდება 3-4-მდე, იშვიათ შემთხვევაში კი 4-8-მდე. კავკა-სიისა და შეუა აზიის რესპუბლიკებში ითვლება ყველაზე მეტად გავრცელებულ ჯიშად (ცნობილია ხალხური სახელ-წოდებით კარალიოკი).

**ჟენჯიმარუ 1799 (სელექციური ფორმა).** ხე საშუალო სიმაღლისაა. 25 წლიანი ხის სიმაღლე არ აღემატება 7 მეტრს. ვარჯი მომრგვალოა, ხშირი შეფორთვლით. ფოთ-ლები კვერცხისებური ფორმისაა, ფოთლის სიგრძეა 8-12 სმ, სიგანე 6-8 სმ, მცენარე ერთსახლიანია. ივითარებს მდედრობით და მარობით ყვავილებს სხვადასხვა ტოტებზე. ნაყოფები შეფერილია მუქ ნარინჯისფრად. ნაყოფის წვერი თითქმის შეუმჩნეველია, მთლიანად დაფარულია წვრილი მუქი ფერის ხაზებით. მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. თესლიანი ნაყოფების რბილობი მუქ-წაბლისფრადაა შეფერილი, გემური თვისებებით წააგავს ხიაკუმეს. თესლი 6-10-მდეა. უთესლო ნაყოფების რბილობი შეფერილია ნარინჯისფრად, მწკლარტება და საჭმელად ვარგისია მხოლოდ მისი დარბილების შემდეგ. თესლით გამრავლების შემთხვევაში წარმოშობს სამი კატეგორიის თესლნერგვები: ორსქესიანს ერთსახლიანს, ცალსქესიანს მამრობითი ხაზით და ცალსქესიანს მდედრობითი ხაზით.

**გვოლი 2374 (სელექციური ფორმა).** ხე ნაკლებმოზარდია, ვარჯი ვიწრო პირამიდისებურია წვრილი, ზევით მოზარდი ტოტებით. შეფორთვლა ძლიერია, ფოთლები პატარა ზომისაა, ფართე ლანცეტისებური, წამახვილებული წვერით, საგრძნობლად ამოწეული ფუძით. ფოთლის სიგრძეა 6-10 სმ, სიგანე 4-6 სმ. ფოთლის ყუნწები პატარაა. ფოთლის ზედა

მხარე გლუვია, მუქი მწვანე ფერის. ქვედა მხარე კი ღია მწვანეა და დაფარულია ბუსუსებით. ნაყოფები პატარაა. წარმოშობიან ჯგუფურად. ნაყოფის წონა 40-65 გრამამდეა. აქვს მომრგვალო კონუსის ფორმა. წვერი შევიწროვებულია. ნაყოფის ბოლო ჩაღრმავებულია. ჯამის ფოთოლოკები ვიწროა და ნაყოფიდან გადახრილი. ნაყოფის კანი მუქი წითელია. ნაყოფები დაფარულია ცვილისებური ფიფქით. თესლიან ნაყოფთა რბილობი მუქი წაბლისფერია, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ხიაკუმეში. თესლი წარმოშობა ყველა ნაყოფში. ნაყოფი დარბილებამდე არასასიამოვნო მწელარტეა. თესლის საშუალო რიცხვი ნაყოფში შეადგენს 6-8-ს. მცენარე ერთსახლიანია, ივითარებს მდედრობით და მამრობით სანაყოფებს.

**გულრიფშის სიდლესი 1316 (საწარმოო ჯიში).** თვით სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ ჯიში უთესლოა, ხე ძლიერმოზარდია, გაშლილი ვარჯით, ძლიერ შეფოთლილი დიდი ფოთლებით. ფოთლის სიგრძეა 10-15 სმ, სიგანე 8-12 სმ. ფოთლის ზედაპირი მუქი მწვანეა და გლუვი, ქვედა მხარე კი ღია მწვანე, დაფიფქული. ნაყოფი ბრტყელია, ოთხკუთხა, ბუდეთა რიცხვი უდრის 8-ს. ნაყოფის კანი გლუვი, მუქი წითელია. რბილობი უელესებური მკვრივი, ფერი ნარინჯისფერ-წითელი. მწიფდება ოქტომბერში. საჭმელად ვარგი-სია დარბილების შემდეგ. გემო ძალიან სასიამოვნოა. შენახვის და ტრანსპორტაბელობის უნარი მაღალი აქვს. 25-წლიანი ხის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 180 კგ.

**ტამოპანი უთესლო 6411 (საწარმოო ჯიში).** ხე ძლიერ-მოზარდია, ვარჯი ფართე-პირამიდისებური, ძლიერ შეფოთლილი, დიდი ძლიერი ტოტებით. ფოთლების ზედაპირი მუქი მწვანე, პრიალა, ფოთლის ქვედა მხარე ღია მწვანე ტრიქო-მებითაა დაფარული. ფოთლის სიგრძე 10-16 სმ, სიგანე 8-12 სმ. 29 წლიანი ხის სიმაღლე აღწევს 15 მეტრამდე, საშუალო მსხმოიარობა კი – 182 კგ. ნაყოფი ბრტყელი, ოთხკუთ-

ხა. მუქი წითელი ფერის რბილობი, უთესლოა. ნაყოფს შუა ნაწილში აქვს კარგად განვითარებული სარტყელი. ნაყოფის ყუნწი მოკლეა, ჯამის ფოთლები მომრგვალოა და შუა ნაწილში მოხრილია. რბილობი მუქი ნარინჯისფერია, მეტად სასიამოვნო ტკბილი გემოსი, მწებავი. ნაყოფი საჭმლად ვარგისი ხდება დარბილების შემდეგ. მომწიფების დრო – ნოემბრის მეორე ნახევარი ან დეკემბრის დასაწყისი. შენახვისუნარიანობითა და ტრანსპორტუაბელობით საუკეთესოა.

**ტანქაში 1664 (საწარმოო ჯიში).** ჩე ძლიერმოზარდია, უხვი შეფოთვლით, ინასკვება პართენკარპიულად. ახასიათებს დიდი ზომის ფოთლები, სიგრძით 14-16 სმ, სიგანით 7-12 სმ, მუქი მწვანე პრიალა ზედაპირით. ფოთლის ქვედა მხარე ღია მწვანე ფერისაა ნაცრისფერი ფიფქით. ოუვინალურ ასაკში ისინი შებუსულია, შემდეგ კი ბუსუსები რჩებიან მხოლოდ ფოთლის მთავარ ძარღვებზე. ნაყოფები მსხვილია, ბრტყელი, ძალიან მოკლე ნაყოფსაჯდომით. ჯამის ფოთოლაკები მომრგვალოა და ინტერმედიალურ ნაწილში მოხრილია გარეთკენ. ნაყოფის კანი მუქი წითელი ფერისაა და ცვილისებური ფიფქითაა დაფარული. ნაყოფის რბილობი ნარინჯისფერ-მოწითალოა, მწებავი, სასიამოვნო გემოთი. ნაყოფის ნედლად გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი დარბილების შემდეგ. მწიფდება ნოემბერ-დეკემბერში.

**ფურუ სადესერტო 4310 (საწარმოო ჯიში).** ჩე საშუალო სიძლიერისაა. ვარჯი მომრგვალო, მეჩერი, საშუალო ზომისაა პირდაპირი ტოტებით, ახასიათებს ხშირი შეფოთვლა. ახალგაზრდა ტოტები დაფარულია მონაცრისფრო ფიფქით. 25 წლიანი ჩე აღწევს 8 მ სიმაღლეს. ფოთლები საშუალო ზომისაა, სიგრძით 8-12 სმ, სიგანით 6-8 სმ. ფოთლის წვერი ბლაგვია, ფუძე კი მომრგვალო. ფოთლის ზედაპირი მუქი მწვანეა, გლუვი და პრიალა. ქვედა მხარე კი ღია მწვანე ფერისაა, შებუსულია და ფიფქითაა დაფარული.

ზრდადასრულებულ ფოთოლს ბუსუსები სცვივა და მხოლოდ მთავარი ძარღვების გასწვრივ აქვს შემორჩენილი.

ნაყოფი საშუალო ზომისაა, მომრგვალო-მობრტყელო, კვადრატული ფორმის. ნაყოფის წერტილი და ფუძე ოდნავ ჩაღრმავებულია. ჯამის ფოთოლაკები მრგვალია, ინტერმედიალურ ზონაში გარეთ კენაა მოხრილი. ნაყოფსაჯდომი მოკლეა და სქელი. მომწიფებული ნაყოფის კანი მუქი წითელია, რბილობი მოწითალო-ნარინჯისფერია, საუკეთესო გემოსი. მწიფდება ოქტომბრის ბოლოს. შენახვისა და ტრანსპორტაბელობის უნარი საუკეთესო აქვს. გამოიყენება როგორც ნედლად, ასევე საჩირედ. ივითარებს ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, მაგრამ მის მტვრიანებში სპორტული ქსოვილი არ წარმოიქმნება.

ჰაჩია გულრიფშის ჯიში 3575, რომელიც ირიცხე-ბოდა საკავშირო მემცენარეობის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში. სუბტროპიკული ხურმის საქართველოს გენო-ფონდში არსებობს ჰაჩიას 16 ფორმა.

გულრიფშის ჰაჩია ძლიერმოზარდი ხეა, ფართო პირა-მიდული ვარჯით და ძლიერ შეფოთლილი ტოტებით. ფოთლის ზედაპირი მუქი მწვანეა, გლუვი და პრიალა და ფოთლის ქვედა მხარე კი ღია მწვანეა. იუვინალურ ასაკში ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ შებუსულია, მომწიფების დროს კი ტრიქომები სცვივა. ისინი რჩებიან მხოლოდ ფოთლის მთავარი ძარღვების გასწვრივ. 25 წლიანი ხის სიმაღლე აღწევს 15 მეტრს. ხე უხვმსხმოიარეა, საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 200 კგ-ს. ნაყოფი წაგრძელებული, კონუსისებური, მომრგვალოა. მომწიფებული ნაყოფი ღებულობს მუქ წითელ ნარინჯისფერს. ნაყოფის ფერის ინტენსივობის მიხედვით ჰაჩია განსხვავდება ხურმის ყველა ვარიაციისაგან. ნაყოფი დამჭვეჭვებულია. მეჭვეჭები ძირითადად თავმოყრილია ნაყოფის ზედა ნაწილში. ნაყოფის რბილობი მუქი წითელი ნარინჯისფერია, მწებავი შელესებური კონ-

სისტენციით. გემური თვისების მიხედვით ხურმათა შორის ბადალი არა ყავს. ნაყოფის თესლიანობა განისაზღვრება 4-8 თესლით. ივითარებს უთესლო ნაყოფებსაც, მაგრამ ისინი გემური თვისებებით ძლიერ ჩამორჩებიან თესლიან ნაყოფებს. ეს ჯიში, როგორც კანონზომიერი მოვლენა. ივითარებს ორსქესიან ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, მაგრამ მის მტვრის პარკებში სპორტული ქსოვილი არ წარმოიქმნება.

**გოშოგაკი 1713 (საწარმოო ჯიში).** სე საშუალო სიძლიერისაა, ვარჯი მომრგვალო, ძლიერ შეფოთლილი. ახალგაზრდა ტოტები დაფარულია მონაცრისფრო ფიფქით. 25 წლიანი სე აღწევს 9 მეტრს სიმაღლეში. ფოთლები საშუალო ზომისაა, სიგრძით 7-12 სმ, სიგანით 5-7 სმ. ფოთლის წვერო ბლაგვია, ფუძე კი მომრგვალო. ფოთლები სუსტადაა დანაოჭებული. მათი ზედაპირი მუქი მწვანეა. ქვედა მხარე კი ღია მწვანე, ფოთლის ძარღვები სუსტადაა შებუსებული. სე გაყოფილსქესიანია. ნაყოფები საშუალო ზომისაა, მომრგვალო, ბრტყელი, კვადრატის ფორმის. კუთხეთა შორის ნაყოფის წვერიდან საჯდომამდე გასდევს ღარები, ნაყოფის წვერის ნაწილში ვითარდება მონაცრისფრო ხაზები, როგორიც ჯიშ ხიაკუმესთვისაა დამახასიათებელი. ნაყოფი საჭმელად ვარგისია დარბილებამდე, ოდნავ მომწკლარტოა, მაგრამ სასიამოვნო გემოსი. მწიფებრის ბოლოს. მწიფე ნაყოფის კანი მუქი წითელია, რბილობი – მუქი წაბლისფერი, ძალიან ტკბილი. წარმოადგენს სადესერტო ჯიშს, შეიძლება გამოვიყენოთ საჩირედ. ნაყოფში ვითარდება 4-8-მდე თესლი. ივითარებს ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, მაგრამ მის მტვრის პარკებში სპორტული ქსოვილი არ წარმოიქმნება. წარმოქმნის თესლს განაყოფიერების გარეშე.

**ცურუნოკი 1317 (სელექციური ფორმა).** სე საშუალო სიძლავრისაა, პირამიდული ვარჯით. ტოტები პირდაპირია, ხშირი შეფოთვლით. ახალგაზრდა ტოტები დაფარულია მონაცრისფრო ფიფქით. 25 წლიანი სის სიმაღლე 8 მ-ია,

ვარჯის სიგანე მის შუა ნაწილში 4,2 მ. ფოთლები საშუალო ზომისაა, სიგრძით 8-11 სმ, სიგანით 6-8 სმ. ფოთლის წვერო ბლაგვია, ფუძე კი მომრგვალო. ფოთლის ზედაპირი გლუვია, პრიალა, მუქი მწვანე, ფოთლის ქვედა ნაწილი ღია მწვანეა, ძირითადი ძარღვები შებუსულია. ნაყოფები საშუალო ზომისაა, წონით 100-150 გრ. ნაყოფის წვერო წამახვილებულია. ნაყოფი კონუსისებურია, მოგრძო. ნაყოფის კანის ფერი მუქი წითელი, გადაკრავს ნარინჯის-ფერი. ნაყოფი ოთხკუთხაა, კარგად გამოხატული კიდეებით. ჯამის ფოთოლოკები მოგრძოა, ინტერმედიალურ ნაწილში ძლიერ მოხრილი. რბილობი მუქი ნარინჯისფერი, გადაკრავს სიწითლეც. საჭმელად ვარგისია მხოლოდ დარბილების შემდეგ. წარმოშობს ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, მაგრამ მის მტვრიანებში სპოროგენული ქსოვილი არ წარმოიქმნება. თესლს წარმოქმნის განაყოფიერების გარეშე.

**ჯირო 1642 (საწარმოო ჯიში).** ხე ძლიერმოზარდია გაშლილი ვარჯით, ძლიერ შეფოთლილი დიდი ფოთლებით. 25 წლიანი ხე აღწევს 15 მეტრს სიმაღლეში. ფოთლის ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა კი – ღია. ძარღვები შებუსულია, ძლიერ გამობურცული. ფოთლის სიგრძე აღწევს 17 სმ-ს, სიგანე 8-10 სმ-ს. ფოთოლი მთლიანია, წამახვილებული წვერით, ფუძეში მომრგვალებული პატარა ყუნწით.

ნაყოფი ცილინდრისებურია, ოთხკუთხა, მკვეთრად გამოხატული კიდეებით, 8 ბუდიანია. ნაყოფის კანი მუქი წითელია, ნარინჯისფერი ელფერით, გლუვი და პრიალა, რბილობი მუქი წითელი, მწებავი, უელესებური. საჭმელად ვარგისია მხოლოდ დარბილების შემდეგ. ნაყოფი ფერითა და გემოთი ძალიან ჰგავს ჰაჩიას ნაყოფს. მასში 4-6 თესლია. გამოიყენება ნედლად და საჩირედ. ინასკვება დამტვერიანების გარეშე. თესლი პართენოგენეზურად წარმოიქმნება.

**აილანტა 1367 (სელექციური ფორმა).** ხე სუსტად-მოზარდია, გაშლილი ვარჯით, ძლიერ შეფოთლილი საშუა-

ლო ზომის ფოთლებით. 15 წლიანი ხე აღწევს 5 მეტრს სიმაღლეში. ძლიერ შეფოთლილია. ნაყოფი ბრტყელია, ძლიერი დარებით, მოყავისფრო შეფერილობისაა.

ნაყოფის კანი ნარინჯისფერ-მომწვანოა, სქელი და ელასტიური. ნაყოფის რბილობი ძალიან გემრიელია. ნაყოფი საჭმელად ვარგისია. ეს ფორმა ნაპოვნი იქნა ჭალადიდში მ. ბლაუბას მიერ კავკასიური და ვირგინიის ხურმის ბუნებრივ ნათესართა შორის. წარმოქმნის ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, რომლის მტვრიანებში ადგილი აქვს სპოროგენული ქსოვილის დეპრესიას.

**ემონი 1711 (სელექციური ფორმა).** ხე საშუალო სიმძლავრისაა, გაშლილი ვარჯით, ძლიერ შეფოთლილი. 20 წლიანი ხე აღწევს 9 მ-მდე სიმაღლეში. ფოთლის სიგრძე 16,5 სმ-ია, სიგანე – 8,5 სმ. აქვს პატარა ყუნწები. ფოთოლი მთლიანია, ბლაგვი წვერით, ფუძე მომრგვალებულია. ფოთლის ზედა მხარე გლუვია, პრიალა, მუქი მწვანე, ხოლო ქვედა მხარე – ნაცრისფრად დაფიფქული, გამობურცული ძარღვებით.

ნაყოფი ბრტყელი, საშუალო ზომის, წონით 160 გრ, მუქი წითელი შეფერილობისაა, დაფიფქული. რბილობი წითელია, გადაკრაცს ნარინჯისფერი. გემო საუცხოო, უელესებური კონსისტენცით, გემოთი მოგვაგონებს ტანენაშს. ნაყოფი მწკლარტეა, საჭმელად ვარგისია მხოლოდ დარბილების შემდეგ. შენახვისა და ტრანსპორტაბელობის უნარი კარგი აქვს. იძლევა საუკეთესო ჩირს. უთესლოა. ხე გამძლეა ფესვის კიბოს მიმართ. ეს ფორმა ივითარებს ცალსქესიან ყვავილებს, რომლებიც განლაგებულია ხის სხვადასხვა ტოტებზე.

**კოსტატა სტეკოვის 1307 (სელექციური ფორმა).** ხე ძლიერმოზარდია. ვარჯი ფართე პირამიდისებურია, ძლიერი შეფოთვლით. ფოთლის სიგრძე 11 სმ-ია, სიგანე – 5,2 სმ, 20 წლიანი ხე აღწევს 12 მეტრს სიმაღლეში, ორსქესიანი ერთსახლიანი მცენარეა, ისევე როგორც გეილი – 2374.

ნაყოფი გრძელი, ცილინდრისებურია, მოგვაგონებს ჯიშ ცურუნოკოს. ფუძე ოდნავ ჩაზნექილია. ნაყოფი შეფერილია ნარინჯისფერ-წითლად, დაფარულია ძალიან ნაზი ფიფქით. ნაყოფის რბილობი მუქი წითელია, ნაწილობრივ მოგვაგონებს ჰაჩის. ძლიერ მწკლარტეა. ნაყოფის ჭამა შეიძლება სრული მომწიფებისა და დარბილების შემდეგ. თესლთა რაოდენობა 0-2 ცალი. სჭარბობს უთესლო. ჯიში უხვმოსავლიანია. საშუალო მოსავლიანობა 25 წლიან ზეზე შეადგენს 220 კგ-ს. დამამტკერიანებელს არ ითხოვს. მისი ერთ-ერთი ვარიაცია ფართოდაა გავრცელებული ყირიმში, სადაც მას იყენებენ სპირტის გამოსახდელად (Арендт, Ртевкин, 1949).

**ვანვენლიანი 4009** (სელექციური ფორმა, ჩინური ველური ხურმა) გამოიყენება საძირედ. საძირის როლში ეს ვარიაცია პოპულარულია სუბტროპიკული ხურმის წარმოების თითქმის ყველა ქვეყანაში. ნაყოფი გრძელი და ცილინდრისებური აქვს, ამ მხრივ მოგვაგონებს ცურუნოკოს. ნაყოფის წვერო მთავრდება შავი ფერის ბურთულით და ოდნავ ჩაზნექილია. ნაყოფის კანი სქელი, გლუვი და ძალიან უხეშია. ნაყოფის საშუალო წონა შეადგენს 45 გრ. თითქმის ყველა ნაყოფში გვხვდება 6-8 თესლამდე. ჰეტეროკარპიულობა აღწევს 60%-ს. ნაყოფი მუქი წითელი-ნარინჯისფერია. ნაყოფის ჭამა შეიძლება დარბილებამდეც. ნედლ ნაყოფში შაქრიანობა აღწევს 26%-ს, მშრალში კი 65%-ს. ამიტომ მას ჩინეთში იყენებენ სპირტის მისაღებად. ზე უხვმოსავლიანია, საშუალო მოსავლიანობა 17 წლიან ზეზე შეადგენს 215 კგ. თესლით გამრავლების დროს წარმოქმნის სამი კატეგორიის თესლნერგს: მამრობითს, მდედრობითსა და ჰერმაფროდიტს. ზე ძლიერმოზარდია, პირამიდული ვარჯით და ძლიერ შეფოთლილი ტოტებით. ფოთლის ზედაპირი პრიალა და მუქი მწვანეა, ქვედა მხარე კი ღია და ძლიერ შებუსული. 17 წლიანი ზის სიმაღლე აღწევს 12 მეტრს. ივითარებს ჰერმაფროდიტულ ყვავილებს, რომლებშიც

მიკროსპორის დედა უჯრედები არ წარმოიქმნება. თესლს ივითარებს პართენოგენეზურად.

**ფუთუ სტერილური 1313 (2n=45).** ეს ფორმა გამოყოფილია ფუთუს თესლნერგთა შორის ი. კაპანაძის მიერ 1957 წ. ხე საშუალო მოზარდია. პირამიდული, ძლიერ შეფოთლილია. ფოთლები საშუალო ზომისაა. ფოთლის სიგრძე აღწევს 12 სმ, სიგანე 5,7 სმ. ეს ეგზემპლარი მდედრობითია. ნაყოფი მოგრძო, ცილინდრისებურია. ფორმით ოთხკუთხაა. კუთხეთა შორის ჩაღრმავებულია ნაყოფი. ნაყოფი მუქი ყვითელი ფერისაა. დამტვერვის შემთხვევაში ღებულობს დამამტვერიანებლის ფერს. ნაყოფი მომწიფების დროს იფარება მუქი მოყვითალო ფიფქით. ფიფქი ასრულებს კრიპტის (დაცვით) როლს. მისი მოცილების შემთხვევაში ნაყოფი ვარდება ხიდან. დაუმტვერავი ნაყოფის რბილობი, ისევე როგორც მისი კანი, მუქი ყვითელია. ძლიერ მწკლარტეა. ნაყოფი საჭმელად ვარგისა სრული მომწიფების და დარბილების შემდეგ. საზამთრო ვარიაციაა. ფორმა უხვმოსავლიანია. საშუალო მოსავლიანობა 27 წლიან ხეზე შეადგენს 210 კგ. იძლევა საუკეთესო ჩირს, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება პაჩის ჩირს. მომწიფებულ ნაყოფებს თავისუფლად სცილდება ნაყოფსაჯდომი.

## სპრემის მინირული ფორმები

ყველა ამ ფორმას აღმოაჩნდა დამამტვერანებელთა საუკეთესო თვისებები. ამასთან ერთად, ისინი საჭმელად ვარგისა და უნდა გამოყენებულ იქნას საძირელ, ხურმის კულტურული ვარიაციებისათვის. მათი საჭმელად ვარგისი რბილობი 50%-ს არ აღემატება.

## თავი II.

### პოლეგის პირობები, ობიექტები და მეთოდება

#### 2.1. აზეაზეთის კლიმატური პირობების მოპლე დახასიათება

აფხაზეთი გეოგრაფიულად იმყოფება დედამიწის სუბტროპიკული ზონის გარეთ, მაგრამ მას აქვს რბილი კლიმატი, რასაც განაპირობებს შავი ზღვისა და კავკასიონის ქედის გავლენა. კავკასიონის ქედი აფერხებს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის გავლენა, რომელიც არასოდეს იყინება. მისი წყლის ტემპერატურა, მრავალწლიანი მონაცემებით სოჭიდან ბათუმაშვერი მერყეობს  $+5^{\circ}\text{C}$ -დან  $+29^{\circ}\text{C}$ -ის საზღვრებში. გარდა ამისა, აფხაზეთის ზღვისპირა ზონის კლიმატზე დიდ გავლენას ახდენენ სკურჩისა და ბებეისირის ტბები. ბებეისირის ტბის ტემპერატურა მერყეობს  $+9^{\circ}\text{C}$ -დან  $+32^{\circ}\text{C}$ -მდე, ე.ი. შავი ზღვის წყალზე თბილია  $+3^{\circ}\text{C}$ -ით.

აფხაზეთი მთიანი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის 64% უჭირავს საშუალო და მაღალ მთებს. ზღვის სანაპიროზე კლიმატი სუბტროპიკულია, მაგრამ ზღვიდან დაშორების შესაბამისად, კლიმატი ძლიერ იცვლება სუბტროპიკულიდან კონტინენტურამდე.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ მაღალია, იგი ვარირებს  $13,6^{\circ}\text{C}$ -დან  $14^{\circ}\text{C}$ -მდე. ყველაზე ცივ თვეედ ითვლება იანვარი, საშუალო ტემპერატურით  $+6,4^{\circ}\text{C}$ -დან  $14,5^{\circ}\text{C}$ -მდე. აბსოლუტური მინიმუმი გალში შეადგენს  $-8^{\circ}\text{C}$ , გულრიფშში  $-11^{\circ}\text{C}$ , სოხუმში  $-9^{\circ}\text{C}$ , გაგრაში  $-10,5^{\circ}\text{C}$ . ყველაზე უფრო ცხელ თვეედ ითვლება ივლის-აგვისტო,

ჰაერის საშუალო ტემპერატურა უდრის  $+22,5\text{--}25,8^{\circ}\text{C}$ -მდე. აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს  $+39\text{--}42^{\circ}\text{C}$ -ს.

ნალექების რაოდენობისა და განაწილების მიხედვით კაგასიძის შავი ზღვისპირეთს ყოფენ 4 მკაფიოდ გამოხატულ რეგიონად: ჩრდილოეთის (ტუაფსე-ოჩამჩირე), სამეგრელოს, ფოთი-ბათუმის და ფოთი-ზესტაფონის (Селянинов, 1928).

ჩრდილოეთის რეგიონი ვრცელდება ტუაფსედან ოჩამჩირემდე. აქ ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 1400 მმ-ს. ამასთან ნალექები არათანაბრადაა განაწილებული წელიწადის დროთა მიხედვით. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის ზამთარსა და გაზაფხულზე, ხოლო ზაფხულსა და შემოდგომაზე, მათი რაოდენობა მცირდება მინიმუმამდე.

სამეგრელოს რეგიონი გადაჭიმულია ოჩამჩირიდან ფოთამდე. ეს რეგიონი, რომელშიც მდებარეობს გალის რაიონი, უფრო ტენიანია, ვიდრე ჩრდილოეთის რეგიონი. ნალექების საშუალო რაოდენობა აქ შეადგენს 1800 მმ და არათანაბრად ნაწილდება, რის გამოც ამ რეგიონის მცენარეულობა გაზაფხულსა და ზაფხულში განიცდის წყლის ნაკლებობას.

მესამე რეგიონი იწყება ფოთიდან და უკავია საქართველოს სუბტროპიკების შავიზღვისპირა ნაწილი – თურქეთამდე. აქ ნალექთა წლიური ჯამი შეადგენს 2000 მმ-ს, სოფელ სარეფონ მიახლოებისას, იგი მნიშვნელოვნად მატულობს. ჩაქვსა და ბათუმში ნალექთა რაოდენობა შეადგენს 25 მმ-ს.

მეოთხე რეგიონი ვრცელდება ფოთიდან ზესტაფონამდე და უჭირავს კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი. იგი წარმოდგენილია მდინარეების – რიონისა და ყვირილას ხეობებით. ნალექების წლიური რაოდენობა ამ რეგიონში შეადგენს 1350 მმ. ქედთა შორის და მდინარეთა ხეობებში ნალექების წლიური ჯამი მნიშვნელოვნად მატულობს.

პაერის შეფარდებითი ტენიანობა. ეს ფაქტორი აფხა-ზეთში ხელს უწყობს სუბტროპიკული კილტურების განვითა-რებას, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ის ვარიირებს დიდ ფარგლებში.

აფხაზეთის ნიადაგები. ჯერ კიდევ სუბტროპიკული მეხილეობის განვითარების გარიურავზე საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა აფხაზეთის ნიადაგების შესწავლას (Ковда, 1934; Гамкрелиძე, 1965). აფხაზეთში გვხვდება ნიადაგების დიდი მრავალფეროვნება, რომელთა შორისაც ყვე-ლაზე უფრო გავრცელებულია: ეწერი, წითელმიწა, ალუ-ვიალური და ნეშომპალა-კარბონატული.

ეწერი ნიადაგები. ამ ტიპის ნიადაგებს ყველაზე მეტი ფართობი უკავიათ აფხაზეთში. ნიადაგთა ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ნაკლები ნაყოფიერება და ეროზიისადმი დაბალი გამძლეობა.

წითელმიწები აფხაზეთში ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ალუვიალური და კარბონატული. ისინი გვხვდება 200-500 მ სიმაღლებზე ზღვის დონიდან. ეს ნიადაგები ნა-ყოფიერია და გააჩნიათ კარგი სტრუქტურა და ფიზიკური თვისებები.

ალუვიალური. ამ ტიპის ნიადაგები განლაგებულია ზღვის სანაპირო ზოლში და მდინარეთა აუზებში.

ნეშომპალა-კარბონატული. გვხვდება მომცრო ნაკვეთე-ბად და მასივებად. ზემოჩამოთვლილ ნიადაგთა შორის ნეშომ-პალა-კარბონატული ნიადაგები ხასიათდება ყველაზე დიდი ნაყოფიერებით.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. აქტიურ ტემპერატუ-რათა საშუალო წლიური ჯამი  $+10^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გალში, ოქუმსა და ოტობაიაში შეად-გენს  $4100$ ,  $+15^{\circ}\text{C}$  ზემოთ –  $3100$ ,  $+20^{\circ}\text{C}$  ზემოთ  $19\ 00$ .

ნალექები. ნალექები მოდის თოვლის და გაცილებით მეტი წვიმის სახით. ნალექები ძირითადად მოსალოდნელია

15 ნოემბრიდან 31 მარტამდე თოვლის ხანგრძლივობაა 8-13 დღე. თოვლის საფარის სიღრმე 20 სმ-ია. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნება ივნისში, მინიმალური კი სექტემბერსა და ოქტომბერში.

## 2.2. პელიგრინაციის და მეთოდება

პელიგრინაცია გამოყენებული იყო სუბტროპიკული ხერმის ის ჯიშ-პოპულაციები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სახელდობრ: საუცხოო, ხიაკუმე, ზენჯიმარუ, გეილი, გულრიფშის სიდლესი, ტამოპანი, ტანენაში, ფური სადესერტო, ჰაჩია, გოშოგაგი, ცურუნოკო, ჯირო, აილანგა, ემონი, კოსტატა, ვანვენლიანი, ფური სტერილური და მინორული ფორმები.

მეორების შესასწავლად ტარდებოდა კოკრების ფიქსაცია. შეცვლილ კარნუას (3:1) ფიქსატორით, რომელსაც ვუმატებდით რკინის ქლორიდის გაჯერებულ ხსნარს მოცულობით (10:1). ფიქსაციის ხანგრძლივობა შეადგენდა 1-3 საათს ოთახის ტემპერატურაზე: გარეცხილ კოკრებს ვინახავდით  $70^0$ -იან ეთილის სპირტში რეფრიਜერატორში  $+5^0C$  ტემპერატურაზე.

მეგასპორების დედა უჯრედების შეღებვას ვაწარმოებდით რკინის ჰემატოქსილენით ( $\text{pH}3$ ) ერლიხის მიხედვით. ქრომისომათა სეგრეგაციისა და ასოციაციის სიხშირის განსაზღვრისათვის ვიღებდით 150-250 მეგასპორების დედა უჯრედებს. ფიქსირებული თესლკვირტების მაცერაციას ვახდენდით ვაზის ლოკოკინას ჩიჩახვის ხსნარით. ამ უკანასკნელის სუსპენზიის წვეთებს ვათავსებდით სასაგნე მინაზე და ვაფარებდით საფარ მინას. ზიგოტის პროტოპლასტის შესაღებად ვიყენებდით რკინის ჰემატოქსილენს დელიაფილდის მიხედვით.

იაპონურ ხურმაში მყნობის დროს ქიმერების წარმოშობის საკითხის შესწავლისათვის, კვლევის ობიექტებად აღებული იყო ხურმის ჯიშ-პოპულაციების ორწლიანი თესლ-ნერგები (სახელდობრ: ხიაკუმე  $2n=30$ , გეილი  $2n=60$ , ჰაჩია  $2n=90$  და ჯირო  $2n=90$ ). მყნობის ობიექტების ქრომოსომათა სხვადასხვა რიცხვი გამოიყენებოდა ინიციალური ტეტრადის უჯრედების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად (იდენტიფიკაცია). მყნობა ტარდებოდა კვალსათბურში სამ ვარიანტად: სანამყენეს კვირტები ემყნობოდა ფესვის ყელში, ტოტის შუა ზონაში და ტოტის ბოლოში. სანამყენეს ტოტს ვჭრიდით მყნობის ადგილიდან 5 სანტიმეტრის დაშორებით. საძირეს და სანამყენეს ვაცლიდით მათ იდენტურ ყლორტებს. ვტოვებდით მხოლოდ იმ ყლორტებს, რომლებიც ატარებდნენ საძირისა და სანამყენეს ნიშნებს. ინტერმედიალური აპექსის ფიქსაციას ვახდენდით ნავაშინის მიხედვით ქრომაცეტოფორმალინით (10:4:1). კალუსიდან ანათლების აღებას ვაწარმოებდით სპეციალური სკალპელით, მყნობიდან 30 დღის შემდეგ. ანათლების მაცერაციისათვის გამოიყენებოდა ვაზის ლოკოკინას ჩიჩახვის ხსნარი (ციტაზა). აჭრილ აპექსებს ვათავსებდით ეთილის  $70^0$ -იან სპირტში. ფიქსირებული მასალა პარაფინირდებოდა და იჭრებოდა მიკროტომით 8-12 მიკ. სისქით. ანათალი იღებებოდა რკინის ჰემატოქსილენის ბუფერული ხსნარით. ღნმ-ის გამოსამუღავნებლად გამოიყენებოდა შიფის რეაქტივი მომზადებული ჰირსის მიხედვით. ინიციალური ტეტრადის უჯრედების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად გამოიყენებოდა სიმბოლური აღნიშვნები, სახელდობრ, მისი აკროცენტრული უჯრედი აღინიშნებოდა a-თი, ლატერალურები კი საათის ისრის მოძრაობის შესაბამისად b,c,d-თი. ინიციალური ტეტრადის სქემის შედგენა ხდებოდა ლასკის მიხედვით (Luck, 1988).

ცდები ტარდებოდა ორანულერეაში  $+22^{\circ}\text{C}$ ,  $+25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს ოზურეის სასათბურე მეურნეობაში (ქ. ოჩამჩირე, საქართველო).

გამონასკვა და მოსავლიანობა ისაზღვრებოდა როგორც თვითდავტერვის, ისე ჯვარედინი დამტევრის დროს და როგორც იზოლირებულ, ასევე არაიზოლირებულ პირობებში. საიზოლაციოდ გამოიყენებოდა პერგამენტის პარკები. სამყნაბი ობიექტების კარიოტიაბების საიდენტიფიკაციოდ გამოიყენებული იყო მათი ქრომოსომების სხვადასხვა რიცხვი კაპანაძის მიხედვით (Капанадзе, 1997).

აღმოსავლური ხურმის ნაყოფების ხარისხზე და მოსავლიანობაზე დამტევრვისა და დამამტევრიანებლის ზეგავლენის შესწავლისათვის საკვლევი ობიექტებიდან დედა მცენარედ აღებული იყო ნომოტენურ ჯიშების შემდეგი ფორმები: ხიაკუმე, ჰაჩია, გოშოგაკი, ჩინებული, სიდლესი, ჯირო, ფუიუ, ტანენაში, ჰაჩია (შ), ფუიუ (კაპანაძე), გოშოგაკი (აჩიგვარა), ტამოპანი (ბლაუბა), ზენჯიმარუ (უგ), გეილი, ვანვენლიანი, დამამტევრიანებლებად კი გეილი, ვირგინიანა, კავკასიური, ზენჯიმარუ და ვანვენლიანი (დ).

ნაყოფთა ორგანოლეპტური თვისებები ისაზღვრებოდა ხუთბალიანი სისტემით. მტერის მარცვლების გაღივება და სიცოცხლისუნარიანობა მოწმდებოდა ტრანკოვსკის მიხედვით. თესლკვირტთა აღრიცხვისათვის ვიყენებდით ბინოკულარულ ლუპას.

კარიოტიაბური სეგრეგაციის შესწავლისათვის კვლევის ობიექტებად გამოიყენებული იყო წინასწარ შერჩეული ნეოტენური კარიოტიპები, სახელდობრ: ხიაკუმე 3400 ( $2n=30,60,90$ ), ფუიუ 4310 ( $2n=60,90$ ); გოშოგაკი 1317 ( $2n=30,60,90$ ), ზენჯიმარუ 3111 ( $2n=60,90$ ), გეილი 2374 ( $2n=60,90$ ), ტანენაში 1146 ( $2n=90$ ); ტამოპანი 6411 ( $2n=90$ ), ჯირო 1642 ( $2n=30,60,90$ ). საექსპერიმენტოდ გამოიყენებოდა ისეთი თესლნურგები, რომლებშიც მეთოზის

დარღვევა არ აღმატებოდა 25%-ს. მზადდებოდა როგორც დროებითი, ისე მუდმივი პრეპარატები.

იმის გამო, რომ ხურმა წარმოადგენს ციტოლოგიურად ძალიან რთულ ობიექტს და ხშირად აღინიშნება ქრომოსომათა აღვეზია (შეწებება) მეოზის დროს, გამოსაკვლევი მასალა წინასწარ მუშავდებოდა კოლხიცინის სუსტი ჩსნარით (0,2 ან 0,3). კოლხიცინით დამუშავება გრძელდებოდა 36-72 საათი  $+7^{\circ}\text{C}$ ,  $+10^{\circ}\text{C}$  პირობებში (რეფრიჟერატორი).

კოლხიცინით წინასწარი დამუშავების დროს ქრომოსომები განიცდიან განცალკევებას, რაც მათ აძლევს მკაფიო გამოხატულების უნარს. ამასთან ერთად კოლხიცინი აჩერებს მიტოზის პროცესს მეტაფაზაში.

კოლხიცინი, ხელს უწყობს ქრომოსომების განცალკევებას და აადვილებს მათ იდენტიფიკაციას.

ნაყოფის კანისა და რბილობის შეფერვის განსასაზღვრავად გამოიყენებოდა მარცისა და პაულის ფერთა შკალები (Maerz, Paul, 1930).

ნაყოფთა გარეგნული (მორფოლოგიური) და გემური თვისებები ფასდებოდა ხუთბალიანი სისტემით, თესლიანი და უთესლო ჯიშების სპეციფიკის გათვალისწინებით (თესლიანი ჯიშებისათვის ნაყოფში ოთხი თესლის განვითარება ითვლება დადგებით ოპტიმალურ მოვლენად, ხოლო უთესლო ჯიშებში – მათი განუვითარებლობა).

ნაყოფის რბილობი (R) შეისწავლებოდა ფორმულის მიხედვით (Mestres et al, 1987).

$$R = P_r + (1-p) r_1$$

r – ნაყოფის კანი, თესლი, ჯამის ფოთოლაკები და ნაყოფის საჯდომი გრ.

$r_1$  – რბილობი გრ,  $p=r/r_1$

ნაყოფთა ბიოქიმიური ანალიზი ტარდებოდა გოგიას მიხედვით (Гогия, 1966).

რაოდენობრივი ცვალებადობის სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა დოსპეროვის მიხედვით (Доспехов, 1979), რაც ითვალისწინებდა შემდეგი სიღირეების განსაზღვრას: საშუალო არითმეტიკულს ( $X$ ), დისპერსიას ( $S^2$ ), სტანდარტულ გადახრას ( $S$ ), საშუალო არითმეტიკულის ცდომილებას ( $S_x$ ), ცვალებადობის კოეფიციენტს ( $V$ ) და გამორჩევის საშუალო ცდომილების შეფარდებით მაჩვენებელს ( $S_x\%$ ).

## ემსახირიმენტული ცავილი

### თავი III

#### პერსიმონის რეპრეზეციული სისტემის ციფრული დანართი თაგისებურებაზე

#### 3.1. მეორების გენის მოქმედება, ძრომოსომათა საბაზის ოცნები და დამტკიცებულება

საკითხის გადასაწყვეტად ძირითადი ყურადღება იყო შეჩერებული ბივალენტთა ასოციაციაზე, რომელიც შესწავლილ იქნა ზურმის შემდგომ ვარიაციებში: გეილი  $2n=30,60,90$ , ზენჯიმარუ 2n=60,90, ფურუ 2n=30,60,90, ტაივანიკა 2n=30,60,90 და ფერტილური ჰაჩია 2n=60,90 (Гогуадзе, Шария, 1994), ვანვენლიანი 2n=30,60,90 და აილანტა 2n=30,60,90. უნდა აღინიშნოს, რომ ბივალენტთა ასოციაციების თავისებურებანი კარგად არის შესწავლილი მრავალწლიან მცენარეებში, კერძოდ პონცირუსის გვარში (Капанадзе и др., 1989). გამოკვლევის შედეგები მოტანილია №1 ცხრილში და №1 ნახატზე.

#### გეილი 2377

2n=30 ქრომოსომიანი ვარიაციის 28 შემთხვევაში აღნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ზუთ-ზუთი ბივალენტი. კარიოფირფიტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის სამი ჯგუფი.

ნახატი №1

ბივალენტთა ასოციაცია



## ცხრილი №1

**კარიოტიპური დათიშვა. ქრომოსომათა საბაზისო და  
ჯერადი რიცხვები იაპონურ ხურმაში**

ობიექტთა დასახელება	ინტროლუციის ნომერი	რაოდენობა								
		მ დ უ (PMC)				სულ	ასოცირებული გენეტიური ტენი	პერიოდი რიცხვი	გენული რიცხვის სისტემა	საბაზისო რიცხვი
		2n=30	2n=60	2n=90	2n=120					
გვილი	2377	28	34	19	90	5	15	2,4,6	5	
ზენჯიმარუ	3111	-	63	33	96	-	-	-,-4,6	-	
ფურუ	4310	18	13	40	71	-	-	2,4,6	-	
ტაიგანიკა	4316	12	49	20	81	-	-	2,4,6	-	
ჰაჩია	3575	-	38	70	108	-	-	-,-4,6	-	
განვენლიანი	4009	30	72	38	140	-	-	2,4,6	-	
აილანტია	4130	39	16	56	111	-	-	2,4,6	-	

(მდუ – PMC) – მიკროსკოპის დედა უჯრედი

2n=60 ქრომოსომანი ვარიაციის 34 შემთხვევაში აღი-  
ნიშნა ბივალენტოა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში  
გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-  
ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტოა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

2n=90 ქრომოსომიანი ვარიაციის 19 შემთხვევაში აღინიშნა ბიგალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ზუთ-ზუთი ბიგალენტი. კარიოფირფიტებზე შეიმჩნეოდა ბიგალენტთა ასოციაციის (კხრა ჯგუფი.

కవితాభాగము 311

2n=60 ქრომოსომანი ვარიაციის 63 შემთხვევაში აღი-  
ნიშნა ბიგალენტთა ჯგუფური ასლციაცია და ყოველ ჯგუში  
გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბიგალენტი. კარიოფირფი-  
ტებზე შეიმჩნეოდა ბიგალენტთა ასლციაციის ქწვის ჯგუფი.

2n=90 ქრომოსომიანი ვარიაციის 33 შემთხვევაში აღინიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფიტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

፩፻፭፻ ፪፻፭

2n=30 ქრომოსომიანი ვარიაციის 18 შემთხვევაში აღინიშნა ბიგალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ზეთ-ზეთი ბიგალენტი. კარიოფირფიტებზე შეიმჩნეოდა ბიგალენტთა ასოციაციის სამი ჯგუფი.

2n=60 ქრომოსომანი ვარიაციის 13 შემთხვევაში აღინიშნა ბიგალენტოა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ზეთ-ზეთი ბიგალენტი. კარიოფირფიტებზე შეიმჩნეოდა ბიგალენტთა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

2n=90 ქრომოსომიანი ვარიაციის 40 შემთხვევაში აღინიშნა ბიგალენტოა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში

გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

### **ტაივანიპა 4316**

$2n=30$  ქრომოსომიანი ვარიაციის 12 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის სამი ჯგუფი.

$2n=60$  ქრომოსომიანი ვარიაციის 49 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

$2n=90$  ქრომოსომიანი ვარიაციის 20 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

### **ჰაჩია ფერტილური 3575**

$2n=60$  ქრომოსომიანი ვარიაციის 38 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

$2n=90$  ქრომოსომიანი ვარიაციის 70 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

### **განვენლიანი 4009**

$2n=30$  ქრომოსომიანი ვარიაციის 30 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში

გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის სამი ჯგუფი.

2n=60 ქრომოსომიანი ვარიაციის 72 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

2n=90 ქრომოსომიანი ვარიაციის 38 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

## აილანტა 4130

2n=30 ქრომოსომიანი ვარიაციის 39 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის სამი ჯგუფი.

2n=60 ქრომოსომიანი ვარიაციის 16 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ექვსი ჯგუფი.

2n=90 ქრომოსომიანი ვარიაციის 56 შემთხვევაში აღი-ნიშნა ბივალენტთა ჯგუფური ასოციაცია და ყოველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ხუთ-ხუთი ბივალენტი. კარიოფირფი-ტებზე შეიმჩნეოდა ბივალენტთა ასოციაციის ცხრა ჯგუფი.

საბოლოოდ პერსიმონის ფერტილურ, დი-, ტეტრა- და ჰექსაპლოიდურ ვარიაციებში მეიოზის შესწავლაში საშუალება მოგვცა დაგვედგინა: დიაკინეზის ტერმინალურ ფაზაში მტვრის მარცვლის დედა უჯრედის (PMC) ფირფიტაზე ასოცირებულია ხუთ-ხუთი ქრომოსომა და ქრომოსომათა ჯერადი რიცხვი შეადგენს 15-ს. თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი შეიძლება გაიზარდოს 2, 4 ან 6-ჯერ.

მოტანილი მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პერსიმონის (*Diospyros Kaki* L.) გვარისათვის ქრომოსომათა საბაზისო რიცხვი შეადგენს 5-ს, ჰაპლოიდური რიცხვია 15, ქრომოსომათა მაქსიმალური რაოდენობა აღწევს 90-ს.

### 3.2. პერსიმონის სქესის გემპვილრეობის თავისებურებანი

საქართველოში გავრცელებული ხურმების ოთხი სახეობა, როგორიცაა კავკასიური (*D. lotus* L.), ვირგინიის (*D. virginiana* L.), იაპონური (*D. Kaki* L.f.) და ჩინური (*D. Sinensis* Hemsl.) არიან გაყოფილსქესიანი, ერთსახლიანი ან ორსახლიანი მცენარეები. ერთსახლიანები ივითარებენ მდედრობით და მამრობით ყვავილებს. ორსახლიანები კი ცალსქესიან ყვავილებს. აღნიშნული მოვლენის შესაბამისად თესლნერგთა შორის გვხვდება სამი სახის ეგზემპლარები: ერთნი ივითარებენ სანაყოფე ტოტებს მხოლოდ მდედრობითი ყვავილებით, მეორენი – მხოლოდ მამრობითი ყვავილებით, მესამენი კი ივითარებენ ორივე სახის სანაყოფე ტოტებს. ეს ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ მათი სქესის ლოკუსი აერთიანებს სამ ალელს –  $a^D$ ,  $a^d$ ,  $a^+$ , მათგან  $a^D$  განსაზღვრავს მდედრობით სქესს,  $a^d$  – მამრობითს და  $a^+$  – ჰერმაფოროდიტულს (Aйала, 1987). ალბათობის თეორიის მიხედვით თესლნერგთა შორის, როგორც კანონზომიერი მოვლენა, უნდა წარმოიშვას სამი სახის გენოტიპი შეფარდებით 5:3:1, სახელდობრ:

- 1)  $a^D a^D$ ,  $2a^D a^d$ ,  $2a^D a^+$  – მდედრობითი ეგზემპლარები;
- 2)  $a^d a^d$ ,  $2a^d a^+$  - მამრობითი ეგზემპლარები;
- 3)  $a^+ a^+$  - ჰერმაფოროდიტული.

ჩატარებული ცდები მიზნად ისახავდა დაგვეღვინა შენარჩუნებულია თუ არა ხურმებში სქესის მემკვიდრეობის მოზაიკა, თუ განიცადა ცვალებადობა.

დასახული ამოცანის შესასწავლად გამოვიყენეთ პერსიმნის ნეოტენური თესლნერგები. აღნიშნული საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ნეოტენის და მისი ნეგატიური ტერმინის – ნომოტენის განმარტება. ნეოტენია ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით არის არასრულყოფილი სქესობრივი სიმწიფე, ხოლო ნომოტენია – სრულყოფილი (Капанадзе и др., 1997). ხურმათა ნეოტენიკები აღმოცენების პირველსავე წელს მსხმოიარობენ, ნომოტენიკები კი მსხმოიარობას მე-8–მე-11 წელს იწყებენ.

პერსიმნის F<sub>1</sub>-თაობის ნეოტენურ თესლ-ნერგთა სქესის სეგრეგაციის შედეგები მოტანილია №2 ცხრილში. აღნიშნულ თესლნერგთა მისაღებად მდედრობით მცენარედ გამოყენებული იყო ზემოთ დასახელებული ხურმის ოთხივე სახეობის პერმაფროდიტული ფორმები, მამრობით მცენარედ კი მათივე მამრობითი ეგზემპლარები.

როგორც მე-2 ცხრილიდან ირკვევა, თესლნერგთა საერთო რიცხვიდან, რომელიც შეადგენდა 990 ეგზემპლარს, თეორიულად უნდა მიგვეღო:

მდედრობით თესლნერგი – 550 ეგზემპლარი, ფაქტიურად მივიღეთ 538, მდედრობით ეგზემპლართა წარმოშობის სიხშირე შემცირდა 4%-ით.

მამრობითი თესლნერგი – 330 ეგზემპლარი, ფაქტიურად მივიღეთ 310, ე.ი. მამრობითი მცენარის ეგზემპლართა წარმოშობის სიხშირე შემცირდა 4,1%-ით.

პერმაფროდიტი თესლნერგი – 110 ეგზემპლარი, ფაქტიურად მივიღეთ 152, ე.ი. პერმაფროდიტულ ეგზემპლართა წარმოშობის სიხშირე გაიზარდა 8,1%-ით.

ცხრილი №2

პერსიმონის ნეოტენურ თესლნერგთა სქესობრივი სეგრეგაცია F<sub>1</sub>-ში

ობიექტის დასახელება	ინტერესულის ნოტი	გენოტიპთა რაოდენობა შეფარდებით 5:3:1									
		საერთო რაოდენობა	a <sup>b</sup>			a <sup>d</sup>			a <sup>c</sup>		
			ფაქტორი	მასალისაღებელი	χ <sup>2</sup>	ფაქტორი	მასალისაღებელი	χ <sup>2</sup>	ფაქტორი	მასალისაღებელი	χ <sup>2</sup>
D. Kaki var. კოშოგაქი	1371	90	43	50	0,9	2	30	2,2	27	10	28,9
D. Kaki var. გეილი	2377	90	47	50	0,18	33	30	0,3	10	10	0,0
D. Kaki var. ზენჯიმარუ	3111	90	50	50	0,0	19	30	3,7	21	10	12,1
D. Sinensis var. ვანენლიანი	4009	90	49	50	0,02	28	30	0,13	13	10	0,9
D. Sinensis var. კაპანაძე	5233	90	45	50	0,5	35	30	0,8	10	10	0,0
D. Virginiana var. სოხუმი	6113	90	56	50	0,72	33	30	0,3	10	10	0,0
D. Virginiana var. მინგებრა	6009	90	53	50	0,1	34	30	0,4	3	10	4,9
D. Lotus var. კორნაპა	5170	90	47	50	0,18	27	30	0,3	16	10	3,6
D. Lotus var. ოზურეი	5259	90	50	50	0,0	29	30	0,1	11	10	0,1
D. Lotus var. მზიუმელა	5233	90	50	50	0,0	18	30	4,13	22	10	14,4
D. Lotus var. ბაბისირი	5291	90	48	50	0,8	32	30	4,8	10	10	0,0
			538	550		310	330		153	110	

ე.ი. ცდაში გამოყენებულ 10-ვე ფორმაში უფრო მეტი სიხშირით წარმოიქმნა ჰერმაფროდიტები, ვიდრე მდედრობითი და მამრობითი ეგზემპლარები.

რაც შეეხება ვირგინის ხურმის ერთ-ერთ ფორმას ინტროდუქციული ნომრით 6009, ამ ვარიაციაში მკვეთრად იყო შემცირებული ჰერმაფროდიტული ინდივიდთა რაოდენობა.

მოტანილი მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხურმაში სქესის გენი სამალელიანია და შესაბამისად ამისა, წარმოიქმნება სამი კატეგორიის გენოტიპი: მდედ-რობითი, მამრობითი და ჰერმაფროდიტული ინდივიდები.

### 3.3. ხურმის ნეოტენურ თასლერგობა კარიოტიპური სემინოდიდი

ხურმის დიპლოიდური ფორმები წარმოშობენ: დი, ტრი, ტეტრა და ჰექსაპლოიდებს. ხოლო ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ კვლავ ითიშება საწყის კარიოტიპებად.

სუბტროპიკული ხურმის პირველი კარიოტიპური გამოკვლევა ჩატარდა იაპონიაში, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ ექსპერიმენტულ ვარიაციებში ქრომოსომათა ჰაპლოიდური რიცხვი შეადგენს 27 ან 28-ს (Yasui, 1915). შემდეგმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ იაპონური ხურმის ჰაპლოიდური რიცხვი შეადგენდა არა 27 და 28-ს, არამედ 30-ს. აღნიშნული სხვაობის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ხურმის პირველი ციტოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ტეტრაპლოიდურ ნულისომიგებზე, რომელთა 2n შეადგენდა არა 60, არამედ 54 ან 56 ქრომოსომას. ამ უკანასკნელებმა კი რევერსიის დროს წარმოშვეს 27 და 28 ქრომოსომიანი ჰაპლოიდები (n-2, n-3).

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონური ხურმის კარიოტიპური ევოლუცია ძირითადად მიმდინარეობდა პოლიპლოიდზაკიის გზით, რაც დასრულდა მათი ჰექსაპლოიდურობით. ამ აზრს იზიარებენ ცნობილი იაპონელი მკვლევარები (Namikawa, Higashi, 1918; Namikawa, Sisa, Asai, 1932).

გამოკვლევა მიზნად ისახავდა, დაგვეღვინა ჩვენთან არსებული პერსიმონის კარიოტიპური შემადგენლობის დადგენას აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ ხურმის ნეოტენური ფორმები. ნეოტენური თესლნერგები მსხმოიარობას იწყებენ მათი არსებობის პირველსავე წელს, ხოლო მათი საწყისი ნომოტენური თესლნერგები კი მე-8, მე-11 წელს. ნეოტენის და ნომოტენის მოდელურ ობიექტად ამჟამად ითვლება ნარინჯოვანების ქვეოჯახის (Subfamily Aurantioideae) და ნესვის ხის *Carica papaya* ტაქსონები (Капанадзе, 1995, Капанадзе, 1996).

ხურმის ნეოტენურ თესლნერგთა კარიოტიპური სეგრეგაციის ციფრობრივი მონაცემები მოტანილია №3 ცხრილში. ნეოტენურ თესლნერგთა კარიოტიპური სეგრეგაციისათვის გამოყენებული იყო პერსიმონის შემდეგი ჯიშ-პოპულაციები:

**ხიაკუმე 3400.** ამ ფორმის ყველა კარიოტიპი წარმოქმნიდა როგორც პროგრესულ, ისე რეგრესულ რიგებს, სახელდობრ, დიპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა: დიპლოიდები, ტრიპლოიდები, ანეუპლოიდები, ტეტრაპლოიდები და ჰექსაპლოიდები. ასეთივე კანონზომიერება შეიმჩნეოდა ტეტრაპლოიდურ ფორმაშიც. ჰექსაპლოიდმა წარმოქმნა ტრიპლოიდები, ტეტრა და ჰექსაპლოიდები. უნდა აღინიშნოს, რომ ჰექსაპლოიდები წარმოიქმნა უფრო დიდი სიხშირით, ვიდრე დანარჩენი კარიოტიპები.

ცხრილი №3

ხურმის ნეოტენურ თესლნერგთა კარიოტიპური სეგრეგაცია

ობიექტის დასახელება	ინტრო- დუქციის ნომერი	რ ა თ დ ე ნ თ ბ ა												
		კარიოტიპები 26												
		თესლის პოლი- პლოიდების მიზედვით	თესლის (ჯამი)	30	ჯამი	45	ჯამი	54	56	60	ჯამი	90	ჯამი	P
ზიაკუმე		48		12		6	26	-	-	6		14		0,25
	3400	68	189	9	21	3		3	5	17	37	31	96	0,36
		73				17				14		51		0,34
ფურუ	4310	35	135	-	-	7	7	11	10	-		4		0,26
		100		-		-		-	-	59	59	41	45	0,73
გოშოგაკი		51		10		5	48	-	-	21		15		0,29
	1317	64	175	2	16	19		-	5	8	41	32	70	0,36
		60		4		24				12		23		0,35
ზენჯიმარუ	3111	32	81	-	-	-	-	32	-	-	-	-	-	0,39
		49				29	29			13	23	20	20	0,61
გეილი	2374	73	153	21	26	13	26	-	-	10		26	78	0,47
		80		5		13						52		0,54

ობიექტის დასახელება	ინტრო- დუქციის ნომერი	რ ა თ დ ე ნ თ ბ ა												
		კარიოტიპები 25												
		თესლის პოლი- პლოიდების მიხედვით	თესლის (ჯამი)	30	ჯამი	45	ჯამი	54	56	60	ჯამი	90	ჯამი	P
ტანენაში	1146	31	31	-	-	-	-	-	-	-	-	31	31	-
ტამოაბანი	6411	30	30	-	-	-	-	-	-	-	-	30	30	-
ჯირო	1642	61	117	10	10	9	9	-	-	20	20	21	49	0,52
		56										28		0,45
ტამოაბანი (ფერტილ).	1416	50	93	23	23	-	-	3	-	23	44	23	32	0,53
		43								21		9		0,46
ჩინებული	1316	100	181	13	30	27	48	-	13	21	54	39	50	0,45
		81		17		21				33		11		-
პაჩა		41		13	-					15		4		0,24
	3575	59	170	10	36	-	-	-		33	80	16	54	0,34
		70		13						32		34		0,41
			1355										555	

**ფურუ 4310.** აღნიშნულ ვარიაციაში შეიმჩნეოდა ოგივე კანონზომიერება, რაც პირველ შემთხვევაში, მაგრამ ამ ფორმის ჰექსაპლოიდურმა ვარიაციამ წარმოქმნა უფრო მეტი ტეტრაპლოიდები, ვიდრე ჰექსაპლოიდური თესლნერგები.

**გლშოვაკი 1317.** ეს ფორმა ქრომოსომთა რიცხვის მიხედვით წარმოქმნიდა როგორც პროგრესულ, ისე რევრესულ რიგებს. აღნიშნული ფორმის ცდაში ჩართული სამივე კარიოტიპი წარმოქმნიდა: დიპლოიდურ, ტრიპლოიდურ, ტეტრაპლოიდურ და ჰექსაპლოიდურ თესლნერგებს. რაც შეეხება ანეუპლოიდებს, მას მოცემულ შემთხვევაში წარმოქმნიდა მხოლოდ ტეტრაპლოიდური ფორმა. ჰექსაპლოიდურ თესლნერგებს წარმოქმნიდა ცდაში ჩართული სამივე გენოტიპი, მაგრამ სხვადასხვა რაოდენობით.

**ზენჯიმარუ 3111.** ზენჯიმარუს ტეტრაპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა ანეუპლოიდური თესლნერგები, ჰექსაპლოიდმა კი მხოლოდ ტრიპლოიდები და ჰექსაპლოიდები. ამ ვარიაციაში ტრიპლოიდები წარმოიქმნა უფრო დიდი სიხშირით, ვიდრე ჰექსაპლოიდები.

**გვილი 2374.** ამ ფორმის ორივე ვარიაციამ წარმოშვა: დიპლოიდური, ტეტრაპლოიდური და ჰექსაპლოიდური ფორმები. რაც შეეხება ანეუპლოიდებს, მათი წარმოქმნა ამ ვარიაციაში არ შეინიშნებოდა.

**ტანენაში 1146, ტამოპანი 6411.** ეს ვარიაციები წარმოქმნიდნენ მხოლოდ ჰექსაპლოიდურ თესლნერგებს. ამის მიზეზად ითვლება, რომ ისინი თესლს წარმოშობენ განაყოფიერების გარეშე პართენოგენეტიკური გზით.

**ჯირო 1642.** ამ ვარიაციის ტეტრაპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა დიპლოიდური, ტრიპლოიდური, ტეტრაპლოიდური და ჰექსაპლოიდური თესლნერგები, ხოლო ჰექსაპლოიდურმა ვარიაციამ მხოლოდ ჰექსაპლოიდური კარიოტიპები.

**ტამოპანი ფერტილური 1416.** ტეტრაპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა დიპლოიდური თესლნერგები, ჰექსაპლოიდმა

კი ტეტრაპლოიდები და ჰექსაპლოიდები. ამ ვარიაციის ტეტრაპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა ანეუპლოიდები.

**ჩინებული 1316.** ამ ფორმის ორივე ვარიაციამ წარმოქმნა დი-, ტრი-, ტეტრა და ჰექსაპლოიდები. ამ ვარიაციის მხოლოდ და მხოლოდ ტეტრაპლოიდურმა ფორმამ წარმოქმნა ანეუპლოიდები.

**ჰაჩია 3575.** ცდაში ჩართული ამ ვარიაციის სამივე კარიოტიპი წარმოშობდა: დიპლოიდებს, ტეტრაპლოიდებსა და ჰექსაპლოიდებს. ამ ვარიაციის არცერთ კარიოტიპს ტრიპლოიდები და ანეუპლოიდები არ წარმოუქმნია.

როგორც ჩანს, სუბტროპიკული ხურმის ყველა კარიოტიპი ამჟღავნებს მიდრეკილებას პოლიპლოიდის მაღალი დონისაკენ. ეს უკანასკნელნი კი ითიშება საწყის კარიოტიპებად. ტეტრაპლოიდურ ფორმებს აქვთ ანეუპლოიდური ფორმების წარმოშობის უნარი, რაც სხვა კარიოტიპებში არ შეიმჩნეოდა.

მე-3 ცხრილის მონაცემების შეჯამებისას ირკვევა, რომ ცდაში ჩართული ხურმის ჰექსაპლოიდური ჰერმაფროდიტული ვარიაციის 11 ნიმუშმა წარმოქმნა დიპლოიდური  $2n=30$  152 ეგზემპლარი, ტრიპლოიდები ( $2n=45$ ) 193 ეგზემპლარი, ანეუპლოიდები 54 ქრომოსომით 49 ეგზემპლარი, ანეუპლოიდები 56 ქრომოსომით 33 ეგზემპლარი, ტეტრაპლოიდები  $2n=60$  358 ეგზემპლარი, ჰექსაპლოიდები კი  $2n=90$  494 ეგზემპლარი.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსიმონის (*Diospyros*) კარიოტიპული ევოლუცია სასარგებლოა ამ გვარის ტაქსონებისათვის და მიმართულია მათი სასიცოცხლო ფუნქციების გაძლიერებისაკენ, რადგან ისინი ნორმალურად იზრდებიან და ვითარდებიან.

### **3.4. ანეუპლოდის მოვლენა იაპონურ პერსიმონები**

ექსპერიმენტების შედეგების გადმოცემის დროს აუცილებელი ხდება განვმარტოთ ქრომოსომთა ჰომოლოგიურობა და ანეუპლოდთა ტიპები.

**ჰომოლოგიურობა.** ჰომოლოგიურ ქრომოსომებად იწოდებიან ის ქრომოსომები, რომლებიც ატარებენ ერთნაირ ფუნქციონალურ გენებს, ამასთან ერთად იმ გენომებს, რომლებიც შედეგებიან ჰომოლოგიური ქრომოსომებისაგან (Sears, 1952). ჰომოლოგიურ გენომთა გაერთიანების შედეგად მიღება უთესლო, მაგრამ ცხოველუნარიანი ჰიბრიდები. რითაც შესაძლებელი გახდა ციტრუსთა ყინვაგამძლეობის პრობლემის გადაწყვეტა და მათი უთესლო ჯიშების მიღება (Капанадзе и др., 1997).

**ანეუპლოდთა ტიპები.** ყოველი ორგანიზმის ქრომოსომულ წონასწორობას არეგულირებს მისი დისომიურობა, ე.ი. ქრომოსომათა წყვილადობა. ამ უკანასკნელის დარღვევის დროს ორგანიზმი გადადის სხვა მდგომარეობაში, რომელსაც უწოდებენ ანეუპლოდიდიას ან ჰეტეროპლოდიდიას. კარიოლოგის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ცნობილია ანეუპლოდიდის ოთხი ჯგუფი: მონოსომიკები, ნულისომიკები, ტრისომიკები და ტეტრასომიკები.

მონოსომიკებად იწოდებიან ის ინდივიდები, რომელთა ქრომოსომულ ნაკრებს წყვილი ჰომოლოგიური ქრომოსომებიდან აკლია ერთი ქრომოსომა. მათი ქრომოსომული ნაკრებია:  $2n-1$ ,  $n-1$ .

ნულისომიკებად იწოდებიან ის ინდივიდები, რომელთა ქრომოსომულ ნაკრებს აკლია ერთი წყვილი ჰომოლოგიური ქრომოსომა. მათი ქრომოსომული ნაკრებია:  $2n-2$ ,  $n-1$ .

ტრისომიკებად იწოდებიან ის ინდივიდები, რომელთა ქრომოსომულ ნაკრებში გაერთიანებულია სამი ჰომოლოგიური ქრომოსომა და კონიუგაციის დროს წარმოქმნიან ტრიგალენტებს: ( $2n+1$ ,  $n+1$ ).

ტეტრასომიკებად იწოდებიან ის ინდივიდები, რომელთა ქრომოსომულ ნაკრებში გაერთიანებულია ოთხი ჰომოლოგიური ქრომოსომა და კონიუგაციის დროს წარმოქმნიან ტეტრა-გალენტებს: ( $2n+2$ ,  $n+2$ ).

გენომთა ანუპალოიდურ მდგომარეობას უმეტესწილად აქვს პოზიტიური ევოლუციური მნიშვნელობა ორგანიზმთა სასიცოცხლო ფუნქციების გაძლიერების საქმეში. ლიტერატურული წყაროების მიხედვით: (Kihara, 1934; Clausen, 1941; Clausen, 1944; Sears, 1953; Sears, 1954; Blokeslee, 1924) მონოსომიკები, რომლებსაც წარმოქმნიან თამბაქოს ( $2n=48$ ), ხორბლის ( $2n=42$ ), ხურმის  $2n=90$  პოლიპლოიდები, ხასიათდებიან გაძლიერებული სასიცოცხლო ფუნქციებით, ვიდრე მათი დისომიკები. მონოსომიის გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ ამა თუ იმ გენის ლოკალიზაციის დადგენას, ასე მაგალითად: სირსის (Sears, 1952) ცდებიდან ცნობილი გახდა, რომ ხორბალ ჩაინზ სპირინგის ნულისომიკის  $M_16$ -16 ქრომოსომაში ლოკალიზებულია მისი მარცვლის სიწითლის გენი, იმ დროს როდესაც, მის მონოსომურ ვარიაციაში ლოკალიზებულია მარცვლის სითეთრის გენი.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, შესწავლილ საწარმოო მნიშვნელობის მქონე პერსიმონის იმ დიპლოიდთა სიღიდეში, რომელიც ცდაში იყო ჩართული, ანუპალოიდთა წარმოქმნა არ აღინიშნებოდა. მათი წარმოქმნა შეინიშნებოდა მხოლოდ ტეტრაპლოიდებში, მაგრამ ისიც მცირე სიხშირით. ამის გამო ცდაში ჩართულ იქნა სპეციალურად შერჩეული ანუპლოიდები: ჰაჩია  $2n = 90-2$  ნულისომიკი მდედრობითი ეგზემპლარი, ჰაჩია  $2n = 90-1$  მონოსომიკი მდედრობითი ეგზემპლარი, ფუიუ  $2n = 90-2$  ნულისომიკი ჰერმაფროდიტული ეგ-

ზემპლარი; ფუიუ ტეტრასომიკი 2n 90+2 მდედრობითი ეგზემპლარი, ზენჯიმარუ ტეტრასომიკი 2n 90+2 ჰერმაფრო-დიტული ეგზემპლარი, ჯირო ტეტრასომიკი 2n 90+2 მამ-რობითი ეგზემპლარი და გეილი ტრისომური ვარიაციის (2n 90+1) მამრობითი ეგზემპლარი. აღნიშნულ ფორმათა F<sub>2</sub> ჰიბრიდების ანეუპლოიდური სეგრეგაციის შედეგები მოტანილია №4 ცხრილში.

ცხრილში მოტანილი მასალებიდან ირკვევა, რომ F<sub>2</sub> თაობის ჰიბრიდებში ანეუპლოიდური ფორმები წარმოიქმნებოდა ასეთი მაჩვენებლებით: გაანალიზებული 1784 ოქსლიდან წარმოიშვა 1285 ანეუპლოიდი, სიხშირით – 0,72, მონო-სომიკები – 0,015, ნულისომიკები – 0,017, ტრისომიკები – 0,036, ტეტრასომიკები – 0,20-ით. საარქივო მასალების გადასინჯვის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მივაკვლიერ მეტად საინტერესო ფაქტებს. მაგალითად, ვ.კ. ლაპინი – საკავშირო მემცენარეობის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის ციტოგენეტიკის ლაბორატორიის გამგე – წერდა, რომ შესაძლებელია დაკარგულ ქრომოსომათა კომპენსირება, თუ წინასწარ შერჩეულ იქნება ანეუპლოიდთა მშობელი წყვილები და ამასთან ერთად მოჰყავს შემდეგი მაგალითები: პირველ შემთხვევაში მას გოშოგაკის ნულისომიკთან (2n 90 - 2) შეუჯვარებია ჰაჩია ტეტრასომიკი (2n 90 +2). გოშოგაკი ბრტყელი ფორმისაა, ჰაჩია კი კონუსისებური. მათ ჰიბრიდს ჰქონია (2n 90 +2) ქრომოსომა, ნაყოფი კი ჰაჩიის ფერითა და გოშოგაკის ბრტყელი ფორმით. მშობელ ფორმათა ეს ორი ტესტერული ნიშანი იმდენად კონტრასტულია, რომ აქ ჰერსიმოლოგს ეჭვის შეტანა არ შეუძლია.

მეორე შემთხვევაში ვ.კ. ლაპინს ცურუნოკოს ნული-სომიკთან (2n 90 -2) შეუჯვარებია ტანენაში ტეტრასომიკი (2n 90 +2). მათ ჰიბრიდს ჰქონია ბრტყელსარტყელიანი ნაყოფი ტანენაშის ფერით. ცურუნოკო ივითარებს ტიბიურ ცილინ-დრულ ნაყოფს ღია წითელი ფერით, ტანენაში კი

ბრტყელ ნაყოფს მუქი წითელი ფერით და ამასთან მის ნაყოფს აქვს სარტყელი. ამ მასალების საფუძველზე ვ.კ. ლაპინი ასკვნის, რომ ანეუპლოიდის საშუალებით საწყის ინდივიდს შეუძლია დაკარგულ ქრომოსომათა კომპენსაცია და ერთი გენომიდან მეორე გენომში სასურველი გენების გადატანა. აქედან გამომდინარე, ვ.კ. ლაპინი თავის რეკომენ-დაციაში წერდა, რომ ანეუპლოიდია პოლიპლოიდიასთან ერთად ერთ-ერთი უძლიერესი ფორმათწარმომქმნელი ფაქ-ტორია და მან წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ხურმის პროგრესული ევოლუციის პროცესში (საკავშირო მემცენა-რეობის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის ანგარიში, 1947 წ.).

ცხრილიდან ირკვევა, რომ განაყოფიერების დროს ადგილი აქვს დისომიურობის აღდგენას, როგორც კანონზომიერი მოვლენას და მათი წარმოშობის სიხშირე მაღალია, რომელიც შეადგენს 72,1%-ს. რაც შეეხება ანეუ-პლოიდებს, ისინი მიღებულ იქნა ასეთი რაოდენობით: მონოსომიკთა რიცხვმა შეადგინა 1,5%, ნულისომიკების – 1,74%, ტრისომიკების – 3,72%, ტეტრასიმიკების კი 20,72%.

ცხრილი №4

ნეოტენურ ანუპლოიდთა დათიშვა F<sub>2</sub>-თაობაში

კომინაციათა დასხელება	ყალბილობა	რ ა თ ღ ე ნ თ ბ ა					ნაყოფის ფორმა			
		თესლნერგების								
		2n 90-0	2n 90-1	2n 90-2	2n 90+1	2n 90+2	გრძელება	განუსაზღვრი	ცოლი	მრგვალი
1. ჰაჩია(ა) 2n 90-1 x გოშოგავი(ა) 2n 90-1	361	319	16	-	26	-	117	163	30	51
2. ჰაჩია(ა) 2n 90-2 x გოშოგავი(ა) 2n 90+2	208	180	-	21	-	7	108	7	80	13
3. ფუთუ(ა) 2n 90-2 x ფუთუ(ა) 2n 90+2	260	205	-	10	-	45	-	260	-	-
4. ზენვემარუ(ა) 2n 90-1 x ზენვემარუ(ა) 2n 90+2	202	161	11	-	12	18	-	-	40	162
5. ჰაჩია(ა) 2n 90-2 x ჯირო(ა) 2n 90+2	345	250	-	-	-	95	-	301	24	20
6. ფუთუ (ა) 2n 90-2 x ჯირო (ა) 2n 90+2	190	151	-	15	-	24	-	190	-	-
7. ჰაჩია(ა) 2n 90-2 x გეილი(ა) 2n 90+1	218	19	-	-	19	171	-	195	13	10
	1784	1285	27	46	57	360	225	1116	187	256

საბოლოოდ ირკვევა, რომ დისომური რეგენერაციული სისტემის შეზღუდვის შემთხვევაში, მას ენაცვლება ადგენტური რეგენერაციული ფაქტორი – ანეუპლოიდია. ანეუპლოიდთა შორის თავისი გამოვლენის სიხშირის მიხედვით პირველ ადგილზეა ტეტრასომიკები.

მოტანილი მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხურმის პოლიალოიდურ ფორმებს შეუძლიათ სპონტანურად წარმოქმნან ანეუპლოიდური ფორმები, რომელთა შორის დიდი სიხშირით ტეტრასომიკები წარმოიქმნება.

### **3.5. მეიოზი და თმსლის ტარმოშობა ისაკონური ხურმის ჯიშებული პარიასა და გეილუმი**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხურმა გაყოფილსქესიანი ორსახლიანი მცენარეა. სპონტანური ჰიბრიდიზაციის დროს მამრობით და მდედრობით ფორმებთან ერთად წარმოქმნის ჰერმაფროდიტულ ვარიაციებსაც. ხურმის ჰერმაფროდიტული ფორმები ივთარებს ორი ჭიპის სანაყოფებს: ერთზე ვითარდება მხოლოდ მდედრობითი, მეორეზე კი – მამრობითი ყვავილები.

დამტვერვა წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს ნაყოფ-გარემოსა და ასევე თესლის განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თესლი შეიძლება წარმოიშვას ჯიშთა შორის შეჯვარების დროსაც. სახელდობრ, იაპონური ხურმის შეჯვარებისას ვირგინის ხურმასთან. ასეთი შეჯვარების შედეგად მიღებული თესლერგებს აქვთ დედა მცენარის გენოტიპები. სწორედ ამ პარადოქსმა განაპირობა მეოზის თავისებურებებისა და ზიგოტის წარმოქმნის შესწავლა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ჯიშთა შორის ჰიბრიდიზაციის დროს.

მეიოზის დაწყებამდე მეგასპორა სწრაფად დიდდება ზომაში, მისი ციტოპლაზმა სქელდება და ხდება წვრილ-ვაკუოლიზებული. მეგასპოროგენეზის დროს ზოგჯერ კარიო-კინეზს არ სდევს ციტოკინეზი, რაც განაპირობებს უჯრე-დების წარმოქმნას ქრომოსომათა გაორმაგებული რიცხვით.

თავდაპირველად ბივალენტთა განლაგებაში რაიმე კანონზომიერი მოვლენა არ შეიმჩნევა. შემდეგ კი ისინი ლაგ-დება ჯგუფებად და, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ყოველ ჯგუფში ასოცირდება ხუთ-ხუთი ბივალენტი. ჩვენი ექსპერიმენტების 175 შემთხვევიდან 118-ში კონსტანტირებულია 5-5 ბივალენტის ასოცირება. ზოგიერთ მეგასპორაში შენიშვნულია 2 ან 4 უნივალენტის არსებობა. უნივალენტები ჩამორჩება ან წინ უსწრებენ ბივალენტებს პოლუსებისაკენ მოძრაობისას და საბოლოოდ ციტოპლაზმაში ხვდება, სადაც ისინი განიცდის რეზორბციას. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს ბივალენტთა შეწებებას (ადგეზიას), რის შედეგადაც წარმოიშობა ქრომოსომათა უცენტრომერო ფრაგმენტები. ქრომოსომული ფრაგმენტების წარმოქმნას მოწმობს ქრო-მოსომათა გახლება და ხიდები, რომლებიც ამ ობიექტში ძალიან ხშირად შეინიშნებოდა. უნივალენტები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ზიგოტენაში ქრომოსომათა კონიუგაცია არ ხდება (ასინაპსისი) ან დიპლოტენაში – ქრომოსომათა გან-ცალკევების ადრეულ სტადიაზე (დესინაპსისი). ხიდები კი წარმოიქმნება ქრომოსომათა გახლების ან მათი ადგეზის შედეგად. ქრომოსომული აბერაციების მიზეზს მოცემულ შემ-თხვევაში წარმოადგენდა ჰექსაპლოიდიზაცია და სპონტა-ნური მუტაცია.

აქვე მივუთითებთ, რომ საკვლევი მცენარეების თესლ-ნერგებში ფენოტიპურად არ შეიმჩნეოდა დამამტკერიანებლის რაიმე გენეტიკური ზეგავლენა.

განაყოფიერებამდე კვერცხუჯრედის აპარატი მოთავსე-ბულია ჩანასახის პარკის მიკროპილურ ნაწილში. კვერცხ-

უჯრედს აქვს მსხლისებური ფორმა. კვერცხუჯრედში ბირთვი მოთავსებულია ბაზალურ ნაწილში. განაყოფიერების შემდეგ ზიგოტა თანდათან მრგვალდება. ამ დროს მისი ბირთვი იკავებს ცენტრალურ ადგილს. ამის შემდეგ ზიგოტა ივითარებს კალოზურ გარსს.

### 3.6. მამრობითი გამეტოფიტის განვითარება სურმის მიწოდებულ ვარიაციებში და მათი სქესობრივი აქტივობა

ლიტერატურული წყაროებისა და გამოკვლევების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ზურმის ყველა ვარიაცია, როგორც სტერილური, ასევე ფერტილური, პოზიტიურ გავლენას ახდენს ჯვარედინ დამტვერვაზე (Мурри, 1937, Гогуадзе, Шария, 1994). საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, ამ თვალსაზრისით შესწავლილია ზენჯი-მარუ და გეილი (Мурри, 1937).

ცდაში გამოყენებული იყო სუბტროპიკული ზურმის წვრილნაყოფა ვარიაციები, მაღალი ფერტილობის გამო. სახელდობრ: გეილი  $2n=30$  1721, ტაივანიკა  $2n=30$  1717, ვანვენლიანი  $2n=30$  1721, აილანტა  $2n=60$  1121, ცურუნკო  $2n=30$  1746, ბებეისრი  $2n=30$  1770. ზურმის ყველა ეს ფორმა ამჟღავნებდა აბსოლუტური ფერტილობის უნარს, რაზედაც მიუთითებს ის, რომ მათში ყველა თესლკვირტი წარმოქმნიდა თესლს.


მიკროსპორების ტეტრადის გარსის ელიმინაციის დროს, მტვრის მარცვალი ჰგავდა მერისტემიზებულ უჯრედს. ჰქონდა კარგად შესამჩნევი ბლანტი ციტოპლაზმა და მცირე ზომის ვაკუოლები. ამ პერიოდში ციტოპლაზმას შეუძლია

მოახ-დინოს როგორც ფუძე, ისე მუავე საღებავების ადსორბცია. ბირთვი და ბირთვაკი მტვრის მარცვლის განვითარების პირველ პერიოდში იკავებს უჯრედის ცენტრს. მიკროსპორების ტეტრადის გარსის სრული გაქრობის შემდეგ ბირთვი და ბირთვაკი იწყებს გადაადგილებას უჯრედის ცენტრალური ზონიდან პერიფერიისაკენ. ამ დროს კი უჯრედის აპიკალური ნაწილი დებულობდა კონუსის ფორმას, რომელშიც ვითარდებოდა დიდი მოცულობის ვაკუოლი (ნახ. 2). მტვრის მარცვლის ერთბირთვიანი ფაზის დასრულების შემდეგ იწყებოდა ბირთვის გაყოფა. მიღებული ორი ბირთვი-დან ერთ-ერთი მატულობს მოცულობაში, ძლიერ ჯირჯვდება და საბოლოოდ გადაიქცევა ვეგეტატიურ ბირთვად, რომელშიც თანდათანობით იძირება გენერაციული ბირთვი. იგი იმ პერიოდისათვის მორფოლოგიურად წააგავდა პურის მარცვალს. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ზოგიერთ ორბირთვიან მტვრის მარცვალში შეიძლება დაიწყოს გენერაციული ბირთვის გაყოფა და საბოლოოდ მივიღოთ სამბირთვიანი მტვრის მარცვალი. ზურმის მტვრის მარცვლების ერთი ნაწილი ორბირთვიანია, მეორენი კი – სამბირთვიანი.

მტვრის მილში გადადის მტვრის მარცვლის შიგთავსი, გენერაციული ბირთვით, რომლის მიტოზური გაყოფით წარმოიქმნება ორი სპერმია წაწვეტებული ბოლოებით (ნახ. 2). გენერაციულ ბირთვთან ერთად მტვრის მილში გადადის ვეგეტატიური ბირთვიც. ეს უკანასკნელი მტვრის მილში განიცდის დაშრევებას, რასაც თან მოსდევს მისი დაშლა და ამ მდგომარეობაში სპერმიებთან ერთად ჩანასახის პარკში გადასვლა. ს.გ. ნაგაშინის მიხედვით ვეგეტატიური ბირთვის ნაწილები აღწერილ იქნა X სხეულაკების სახით (Навашин, 1951).

## ნახატი №2.

ჯიშ გეილის ერთუჯრედიანი მტვრის მარცვალი



1. ბირთვი და ბირთვაკი
2. გაკუოლი

მამრობითი გამეტოფიტის განვითარების დროს ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ როდესაც მტვრის მილი აღწევს თავის მაქსიმალურ სიგრძეს, მტვრის მილის ტელოსომის ზონაში ჩნდება ორი ხვრელი, რომელიც დანაც გამოდიან სპერმიები. ეს მოვლენა ჩვენს მიერ შემჩნეულ იქნა რამდენჯერმე, რაც მოწმობს იმას, რომ მტვრის მილის ტელოსომა, როდესაც შედის ჩანასახის პარკში და ინერგება მეორად ბირთვსა და კვერცხუჯრედს შორის, კი არ სკდება, როგორც ეს ლიტერატურული წყაროებიდანაა ცნობილი (Герасимова-Навашина, 1961; Furusato, 1957; Maheshwari, 1935; Osawa, 1912), არამედ წარმოშობდა პარალელურად განლაგებულ ორ

ხვრელს, აქედან ერთს მეორადი ბირთვის მხარეზე, მეორეს კი კვერცხუჯრედის მხარეზე, საიდანაც გადმოდიან სპერ-მიები. უნდა აღინიშნოს, რომ პერსიმონის სპერმიის შოლ-ტები ჩანასახის პარტში შესვლისას განიცდიდნენ ელიმი-ნაციას.

განაყოფიერებული კვერცხუჯრედის “მოსვენების” პე-რიოდი გრძელდებოდა 26-31 დღემდე. საყურადღებოა, რომ ზიგოტა იწყებდა პირველ დაყოფას, როდესაც ენდოსპერმის ბირთვების რაოდენობა აღწევდა 128-ს. ზიგოტის “მოსვენე-ბის” ფაქტები აღინიშნულია ნარინჯოვანების ტაქსონებში (კაპანაძე, 1967). ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ზიგოტის პირველი დაყოფა მთელ რიგ მცენარეებში იწყება ენდოსპერმის 100 ბირთვის წარმოქმნის შემდეგ (Капанадзе, 1983). ასეთივე ფაქტს აღწერს მანგოში ინდოელი მკვლე-ვარი ჩოპრა (Chopra, 1957). მიღებული ფაქტები ხურმა ჰაჩიას შემთხვევაში ეთანხმება ზემოთ დასახელებული ავტო-რების ფაქტებს. ენდოსპერმის ინიციალური უჯრედი (განაყო-ფიერებული მეორადი ბირთვი) განიცდიდა შვიდჯერად დაყო-ფას, რის შემდეგადაც წარმოშობდა 128 უჯრედის. ამის შემდეგ ზიგოტა გამოდის მოსვენების მდგომარეობიდან და იწყებს პირველ დაყოფას.

როგორც წინა გამოკვლევების შედეგად დამტკიცდა (Гогуадзе, Шария, 1995), ხურმის ჯიშ ჰაჩიას დამა-მტკერიანებლად შეიძლება გამოვიყენოთ კავკასიური ხურმა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში წარმოშობდა მხოლოდ აპომიქტურ თესლს. აქედან გამომდინარე, უნდა გამოგვეკვლია, გადადის თუ არა შორეული შეჯვარებისას ჰაჩია აპომიქსისზე, თუ ეს თვისება მისთვის დამახასიათებელია მასთან გენეტიკურად ახლომდგომ ფორმებთან შეჯვარების დროსაც. ამ საკითხის გადასაწყვეტად გამოვიყენეთ ხურმის წვრილნაყოფა ფორმები, რომლებიც მიეკუთვნებიან მაღალ ფერტილურ ფორმებს. გამოკვლევის შედეგები მოცემულია №5 ცხრილში.

ჰაჩიასა და გეილის შეჯვარების დროს 114 კონტაქტირებული გენერაციული ბირთვებიდან 104 ბირთვმა განიცადა ელიმინაცია. მიღებულია 10 თესლნერგი, საიდანაც აღმოცენდა სამი ტრიპლოიდი ( $2n=45$ ) და 7 ჰექსაპლოიდი ( $2n=90$ ).

ჰაჩიასა და ტაივანიკას შეჯვარების დროს 100 კონტაქტირებული ბირთვიდან 100-ემ განიცადა ელიმინაცია.

ჰაჩიასა და ვანგვენლიანის შეჯვარების დროს 96 კონტაქტირებული ბირთვიდან 85-მა განიცადა ელიმინაცია. მიღებული 9 თესლნერგიდან 5 აღმოჩნდა ტრიპლოიდი ( $2n=45$ ), ხოლო 4 ჰექსაპლოიდი ( $2n=90$ ).

ჰაჩიასა და აილანტას შეჯვარების დროს 133 კონტაქტირებული ბირთვიდან 118-მა განიცადა ელიმინაცია. მიღებული 22 თესლნერგიდან 10 აღმოჩნდა ტრიპლოიდი ( $2n=45$ ), 12 კი ჰექსაპლოიდი ( $2n=90$ ).

ჰაჩიასა და ცურუნოკოს შეჯვარების დროს 80 კონტაქტირებული ბირთვიდან ოთხმოცივემ განიცადა ელიმინაცია. ჰაჩიასა და ვარიაცია ბებეისირის შეჯვარების დროს 121 კონტაქტირებული ბირთვიდან 113-მა განიცადა ელიმინაცია. მიღებული 8 თესლნერგიდან ყველა აღმოჩნდა ჰექსაპლოიდი ( $2n=90$ ).

ზემოთ დასახელებული კომბინაციების შედეგად მიღებული თესლნერგების შესწავლისას გამოირკვა, რომ ისინი არიან დედა მცენარის ჰაჩიას გენოტიპები.

მიღებული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შესწავლილი ხურმა ჰაჩიას 119 6 თესლნერგი წარმოადგენს აპომიქტურ ფორმას და მისი თესლის წარმოქმნაში დამამტვერიანებელი ასრულებს მხოლოდ ბიოინდუქტორის როლს.

ცხრილი №5

ზურმის მინორულ ვარიაციებში მტვრის მარცვლის გაღივება და მისი ბირთვების  
კონტაქტი პაჩის კვერცხუჯრედთან

ობებჭთა დასახელება	მშობელი წყვილებ. ქრომოსომათა რიცხვი	მამრობითი მცენარეები					კანტატი. ჰერცინულ გარება- რიცხვი	ბირთვის კლასიფიკაცია	თესლ- ნერგები
		2-პაროფილი მტვრის მარც. %-ში	3-პაროფილი მტვრის მარც. %-ში	გალოფილი მტვრის მარც. %-ში	ნაფილი თესლის ნოტა %-ში	2n=45			
პაჩია 1196 x გეილი 1731	90.30	47	43	90	100	114	104	3	7
პაჩია 1196 x ტაიგანიკა 1717	90.30	46	42	88	100	100	100	-	-
პაჩია 1196 x განვერნლიანი 1721	90.30	43	48	91	100	96	85	5	4
პაჩია 1196 x აილანტა 1121	90.60	44	51	95	100	133	111	10	12
პაჩია 1196 x ცურუნოკო 1746	90.30	40	39	79	100	80	80	-	-
პაჩია 1196 x ბებერსირი 1791	90.30	53	39	92	100	121	113	-	8

### **3.7. საძირის და სანამყენის კალუსი გაერთიანება და მიზი დაპირტვება (პროდიფერაცია)**

პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მცენარეთა შორეული ფორმების ტრანსპლანტაცია, (მყნობა)რომლის დროს საძირის და სანამყენეს შემაერთებელი ქსოვილიდან – კალუსიდან წარმოიშობა როგორც საძირის და სანამყენს, ასევე შუალედური (ინტერმედიური) ფორმებიც.

შუალედური ფორმების შესწავლას უდიდესი ყურადღება დაუთმეს მსოფლიოს გამოჩენილ-მა მკვლევარებმა (Nati, 1974, Samura, Nakahara, 1928, Bergan, 1966).

რადგანაც მყნობის დროს ხდება საძირისა და სანამყენეს უჯრედების გაერთიანება ერთ ორგანიზმად (კაპანაძე, 1997). შევეცადეთ შეგვესწავლა საძირისა და სანამყენს შემაერთებელი ქსოვილის (კალუსის) დაკვირტვა (პროლიფერაცია) და ასევე დაკვირტვის წინამორბედი ფაზები, სახელ-დობრ, ინიციალური უჯრედის, ინიციალური ტეტრადის და ზრდის კონუსის წარმოშობა.

#### **კალუსის განვითარების ფაზები.**

მე-5 დღეს კალუსის ფაზა შედგებოდა ძალიან მცირებულისებრი სტრუქტურებისაგან (კორპუსკულები), რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ იყო მიჯრილი. აღნიშნული სტრუქტურები შევისწავლეთ კონტრასტულ მიკროსკოპით (მიკრ. N F, ობიექტივი 100 X, ოკულარი 15, 20). მიკროსკოპულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ ფაზაზე კალუსს აქვს სუფთა ბრილიანტის ფერი, არის ფაშარი, სიბლანტით მოგვაგონებს გლიცერინს, შეიცავს ბრილიანტის მჟავას და ცილოგანი ნივთიერებებიდან – ტუბულინს.

მე-10 დღეს კალუსის მასა თითქმის ისეთივე იყო, როგორც 5 დღიანის შემთხვევაში იყო, მაგრამ მისგან

განსხვავდებოდა იმით, რომ ამ უკანასკნელის ბურთულები იყო ნაცრისფერი.

მე-15 დღეს იწყებოდა ბურთულების გარსის შეცვლა. ხდებოდა მათი გაუჯრედება. და იღებებოდა ფუძე საღებავებით. ამ ფაზაში კალუსს გადაკრავდა ინტენსიური ალისფერი.

მე-20 დღეს კალუსის აღნიშნული უჯრედები ზომით აღწევდა მერისტემული უჯრედის ზომას, მათი გარსი იყო უფრო გასქელებულია და მკვრივი. კარგად იღებებოდა ლიხტგრიუნით. ამ დროს ცენტრალურ ნაწილში შეიმჩნეოდა ბეჭდისებური ორი რკალი. აქედან ერთი რკალი შითის რეაქტივით შეღებვისას ფელგენ უარყოფითი, მეორე კი პირიქით ფელგენდადებითი იყო. მისი პოზიტიურობის დამატეცებელია ის, რომ მის რკალში გაბნეული იყო დეზოქსი ალფა გლუკოზის მოლეკულები, რომლებიც ფუქსინ გოგირდის წყალხსნარში ილექტა და იღებება წითლად. პირველი რკალი მიეკუთვნება ბირთვაკს, მეორე კი ბირთვს. აღნიშნულ მომენტში კალუსის უჯრედებს შეიძლება ეწოდოს მონერული (პროტოტიპური) უჯრედები.

25-ე დღე. ამ ფაზაზე კალუსი თავისი ფერით არ განსხვავდებოდა საძირისა და სანამყენეს დონორული ქსოვილებისაგან. მისი ყველა უჯრედი მერისტემიზებულია. ამ დროს უჯრედის ბირთვაკს, ბირთვს, პლაზმის გარსს და ყველა მის ორგანოდს ჰქონდა მკაფიო გამოხატულება და იღებებოდა, როგორც ფუძე, ასევე მჟავე საღებავებით. აღნიშნულ სტადიაზე კალუსი ასრულებს შემაერთებელი ქსოვილის როლს, და აქვს რეგენერაციის დიდი უნარიც, რაც გამოიხატება მის პროლიფერაციაში და ემბრიონების განვითარებაში (Schroeder, 1968, Tenning et al, 1922, Hisato et al, 1993, Chatelet et al, 1992, Тарасенко, Успенский, 1996).

კალუსის უჯრედები გვხვდება განვითარების სხვადასხვა მონერულ (პროტოტიპური უჯრედი) ფაზაზე (Лепе-


шинская, 1952). Моногорули უჯრედები განვითარების და-  
საწყისში უბირთვონი და უგარსონი არიან. შეიმჩნევა მხო-  
ლოდ მათი პროტოპლაზმის სფეროსებური ბურთულები.  
მათი განვითარების ბოლო ფაზაზე, ხდება ბირთვის გარსის  
ქრომატინისა და ბირთვაკის წარმოქმნა. უჯრედებს, რომლებ-  
საც აქვთ ყველა ორგანოდი, იწოდებიან მერისტემულ უჯ-  
რედებად. მერისტემატიზაციისა და დემერისტემატიზაციის  
პროცესები კარგადაა შესწავლილი ციტრუსების ნუცელუსის  
ქსოვილში დამატებითი ჩანასახების წარმოშობის დროს (კაბ-  
პანაძე, 1983).

**კომბინირებული კალუსის კომპლექსები.** კომბინირე-  
ბული კალუსის ზრდის კონუსის ინიციალური ტეტრადის  
აგებულება ხურმის სომატურ ჰიბრიდულ ნაჩვენებია №1  
სქემაზე.

ზიაკუმე 2n 30 + გოშოგაკი 2n 60. ამ კომბინაციაში მისი  
საწყისი კომბონენტების მერისტემიზებული კალუსის უჯრე-  
დების შეხების ადგილებში ხდებოდა მათი ინიციალური  
უჯრედების დაწყვილება: შემჩნეულ იქნა დაწყვილებული  
უჯრედების ჯგუფი: სახელდობრ, დაწყვილებულია 30  
ქრომოსომიანი და 60 ქრომოსომიანი ინიციალური უჯრე-  
დები. a და b უჯ-რედები, რომელთაც აქვთ ქრომოსომთა  
რიცხვი 2n 30 და ეკუთვნის ზიაკუმეს, აგრეთვე c და d  
უჯრედი, რომელთაც აქვთ ქრომოსომთა რიცხვი 2n 60 და  
ეკუთვნის გოშოგაკს. ე.ი. წარმოიქმნებოდა დიქლამიდური  
ქიმერა.

## სქემა №1

კომბინირებული კალუსის ზრდის კონუსის ინიციალური  
ტეტრადის აგებულება პერსიმონის პარასექსუალურ  
ჰიბრიდული



გეილი 2n 30 + ტანენაში 2n 90. ამ კომბინაციის კალუსის უჯრედების კონტაქტირებულ ადგილებში დაწყვილებული იყო საწყისი კომპონენტების ინიციალური უჯრედები. a და b უჯრედები, რომელთაც ჰქონდათ 2n 60 და ეკუთვნოდა ხურმა გეილს, აგრეთვე c და d უჯრედი, რომელთაც ჰქონდათ 2n 90 და ეკუთვნოდა ტანენაშს. ე.ი. მიღებულ იქნა დიქლამიდური ქიმერა.

ცურუნოკო 2n 30 + ტამოპანი 2n 90. დასახელებული კომბინაციის მერისტემიზებული კალუსის უჯრედების შეხებისას ადგილი ჰქონდა მათ დაწყვილებას. დაწყვილებული უჯრედებიდან a უჯრედი 2n 30 და b უჯრედი 2n 30 ეკუთვნოდა ცურუნოკოს, ხოლო c უჯრედი 2n 90 და d უჯრედი 2n 90 ეკუთვნოდა ტამოპანს. ე.ი. მიღებოდა დიქლამიდური ქიმერა.

ზენჯიმარუ 2n 90 + ჰაჩია 2n 60. მოცემულ შემთხვევაში მერისტემიზებული კალუსის უჯრედების შეხების ადგილებში შეიმჩნეოდა ასეთი ფაქტი: a, b, c უჯრედებს ჰქონდა 90 ქრომოსომა, ხოლო d უჯრედს კი 60 ქრომოსომა. ამ კომბინაციაში ჰქექსაპლოიდური უჯრედები ეკუთვნოდა ზენჯიმარუს, ხოლო ტეტრაპლოიდური – ჰაჩიას. ე.ი. მოცემულ შემთხვევაში მიღებულ იქნა მონოქლამიდური ქიმერა.

ცურუნოკო 2n 30 + ჯირო 2n 90. მერისტემიზებული კალუსის უჯრედების კონტაქტირებისას შეინიშნებოდა ორი ფაქტი. ერთ შემთხვევაში a უჯრედი, რომელსაც ჰქონდა 2n 30 ეკუთვნოდა ცურუნოკოს, ხოლო b, c, d უჯრედები, რომელთაც ჰქონდა 2n 90, მიეკუთვნებოდა ჯიროს. ე.ი. აქაც მიღებული იყო მონოქლამიდური ქიმერა.

ჰიბრიდი (ფუიუ 2n 30 + გოშოგაკი 2n 60) + ვანვენლიანი 2n 90. აღებული კომბინაციის მერისტემიზებული კალუსის უჯრედების შეხების ადგილებში შეიმჩნეოდა საძირისა და სანამყენებს სიმბიონტთა ასეთი ჯგუფი: პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყო დიპლოიდური და ჰქექსაპლოი-

დური უჯრედები დიქლამიდურ დონეზე, მეორეში – დიპლოი-დური და ჰექსაპლოიდური. აქაც მყნობის კომპონენტები გაერთიანებული იყო დიქლამიდურ დონეზე, მესამეში კი ტეტრაპლოიდური, ჰექსაპლოიდური და დიპლოიდური უჯრე-დები. ამ კომბინაციაში a უჯრედი, რომელსაც ჰქონდა 30 ქრომოსომა, მიეკუთვნებოდა ფუიუს, b, c უჯრედები, რომელ-თაც აქვთ 60 ქრომოსომა, მიეკუთვნებოდა გოშოგაკს, d უჯრედი კი, რომელსაც ჰქონდა ჰექსაპლოიდური უჯრედი, მიეკუთვნებოდა ვანვენლიანს, ე.ი. მიღებოდა ტრიქლამიდური ქიმერა.

(ფუიუ 2n 30 + ჰაჩია 2n 60) + ჩინებული 2n 90. დასახელებული კომბინაციის მერისტემიზებული კალუსის უჯრედების კომბინირებული ზრდის კონუსის მქონე ფორ-მებში შეინიშნებოდა ინიციალურ უჯრედთა ასეთი პლოიდობა: ზრდის კონუსის ინიციალური ტეტრადის a და b უჯრედებს ჰქონდა 30 ქრომოსომა, c უჯრედს ჰქონდა 60, ხოლო d უჯრედს 90. ე.ი. ამ შემთხვევაშიც მიღებოდა ტრიქლამიდური ქი-მერა.

(ჰაჩია 2n 30 + ზენჯიმარუ 2n 60) + (ტამოპანი 2n 90 + გოშოგაკი 2n 45). დასახელებული კომბინაციის მერისტემი-ზებული კალუსის უჯრედების შეზრდის ადგილებში შეიძჩნელა ისეთი კატეგორიის ინიციალური უჯრედის წარმოშობა, რომლის a უჯრედს ჰქონდა 90 ქრომოსომა, b-ს – 45 ქრომოსომა, c-ს – 30 ქრომოსომა, ხოლო d-ს – 60 ქრომოსომა. აღნიშნულ შემთხვევაში მიღებოდა ტეტრა-ქლამიდური ქიმერა.

მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავას-კვნათ, რომ საძირის და სანამყენეს კალუსთა უჯრედების კომბინირების შედეგად წარმოიქმნა ოთხი სახის ქიმერა – მონო-, დი-, ტრი- და ტეტრაქლამიდური.

## **3.8. ღამტვერვის როლი სუბტროპიკული ხერმის მოსავლიანობისა და ნაყოფიან ხარისხის გაზრდის საშუალები**

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით (Зарецкий, 1934) დამტვერვა ერთ-ერთი მთავარი ბიოლოგიური ფაქტორია როგორც მოსავლიანობის, ასევე ნაყოფის ხარისხის გაზრდის საქმეში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოკვლევა მიზნად ისახავდა, გვეპოვა მოსავლიანობისა და ნაყოფის გაზრდის ის ზღვარი, რომელსაც ადგილი აქვს დამამტვერიანებელთა გამოყენების დროს. დასახული მიზნის განსახორციელებლად ცდაში ჩართული იყო ყველა ის ჯიში, რომლებიც გვხვდებოდა წარმოებაში.

დედა მცენარედ გამოვიყენეთ ხიაკუმე 3400, ჰაჩია 3511, გოშოგაკი 1317, ჩინებული 1316, სიდლესი 1561, ჯირო 1642, ფურუ 4310, ტანენაში 1146, ჰაჩია 3575, ფურუ 2201, გოშოგაკი 1919, ზენჯიმარუ 3111, გეილი 2377, ვანვენლიანი 4009, ტამოპანი 6411.

მამა მცენარედ გამოვიყენეთ კავკასიური 4433, ვირჯინიის 1313, გეილი 5511, ვანვენლიანი 6611.

საკონტროლოდ კი ხურმის იზოლირებული და არაიზოლირებული ვარიაციები.

გამოკვლევის შედეგები მოტანილია №6-12 ცხრილებში.

### **3.8.1. ბუნებრივი ღამტვერვის ღრმე**

ყვავილობიდან 5 დღის გავლის შემდეგ ნასკვთა დაცვენა არ შეინიშნებოდა. ნასკვთა დაცვენა მცირე რაოდენობით იწყებოდა 30-ე, 45-ე დღეს. თესლიანი ჯიშების მიხედვით 100 ცალი ნასკვიდან ხეზე დარჩა 67-77% ნაყოფი. იგივე ჯიშებში ნაყოფის წონა მერყეობდა 65-175 გრ. სადეგუსტაციო ბალი კი უდრიდა 3,8. ჰეტეროკარპულ

ნაყოფებს წარმოქმნიდნენ: გოშოგაკი, ჯირო, ჰაჩია, გოშოგაკი (ბლაუბა), ზენჯიმარუ და გეილი  $2n=90$ . თესლიანობა შეიმჩნეოდა: გოშოგაკში, ჩინებულში, ჰაჩიაში, ფურუში (კაპანაძე), გოშოგაკში (ბლაუბა), ზენჯიმარუში და ვანვენლიანში. თესლის წარმოშობის მიზეზს აღნიშნულ ჯიშებში წარმოადგენს მათი მიღრეკილება პართენოგენეზისადმი, მაგრამ ამ ჯიშების პართენოგენეზური თესლის წარმოშობა უსათუოდ დაკავშირებულია ინდუცირებულ პართენოგენეზთან, რაც შეეხება სტერილურ ჯიშებს, როგორიცაა: სიდლესი, ტანენაში და ტამოპანი, მათში თავისუფალი დამტვერვის მასტიმულირებელი გავლენა არ შეიმჩნეოდა (ცხრ. №6).

### 3.8.2. 0ზოლაციის დროს

როგორც მე-7 ცხრილში მოტანილი მასალებიდან ირკვევა, სუბტროპიკული წურმის ჯიშებში მტვრის გავლენა ძლიერ იგრძნობოდა ყვავილობის პირველსავე პერიოდში, სახელდობრ, მე-5 დღეს ნასკვთა დაცვენა შეადგენდა 42%-ს. ეს ის პერიოდია, როდესაც მტვრის მიღები დიდი რაოდენობით შედიან თესლების მტვრის პირველსავე პერიოდში (პლაცენტის ქსოვილი, რომელშიც თესლები ჩაფლული მიკროპილარული ნაწილით) და პერისტომში (მიკროპილეს ყელი). 30-ე დღეს გამონასკვა შემცირდა 25%-ით, 45-ე დღეს 20%-ით, ხოლო 180-ე დღეს – ნაყოფის ტექნიკური სიმწიფის პერიოდში – ხეზე დარჩა 11%. დამტვერვის გამორიცხვა აისახა. გამონასკვულ ნაყოფთა წონაზე, ხარისხზე და თესლიანობაზე. ნაყოფის წონა შემცირდა 3,6-ჯერ, ხარისხი 2,5 ბალით, თესლიანობა კი მთლიანად გამოირიცხა.

ცხრილი №6

ხურმის მსხმოიარობა და ნაყოფის ხარისხი ბუნებრივი (თავისუფალი) დამტვერვის დროს

ობიექტთა დასახულება	რ ა რ დ ე ნ ო ბ ა რ ი ც ხ ვ ე ბ შ ი									
	საკონტრ. ყვავილ.	ნაკვ- მე-5 დღეს %	ნაკვ- 30-ე დღეს %	ნაკვ- 45-ე დღეს %	ნაკვ- 180-ე დღეს %	ნაყოფის საშუალო წონა ( $\bar{X}$ ) გრამებში	$S_{\bar{X}}$	საღე- გუსტა- ციო ბალი	თესლი ერთ ნაყო- ფში	რბი- ლობი (R) %
1. ზაქუმე 3400	100	100	81	77	75	96	0,75	4,0	1,5	85
2. პაჩა 3511	-	-	80	75	74	140	-	4,0	3,3	86
3. გომოგავი 1317	-	-	79	67	67	125	-	4,5	5,2	81
4. ჩინებული 1316	-	-	81	71	69	110	-	5,0	5,5	81
5. სიღლესი 1561	-	-	83	75	75	185	-	4,5	-	91
6. ჯირო 1642	-	-	73	66	66	136	-	4,3	3,5	87
7. ფურუ 4310	-	-	81	75	73	167	-	4,0	6,3	83
8. ტანებაში 1146	-	-	80	71	71	200	-	5,0	-	90
9. ტამოპანი 6411	-	-	79	69	67	195	-	5,0	-	93
10. პაჩა 3575	-	-	86	73	70	169	-	5,0	3,7	87
11. ფურუ 2201	-	-	84	73	71	145	-	4,5	2,2	86
12. გომოგავი 1919	-	-	80	70	70	190	-	5,0	5,2	88
13. ზემჭიდრუ 3111	-	-	79	68	69	150	-	4,0	3,7	83
14. გეოლი 2377	-	-	80	67	66	90	-	3,0	-	75
15. ვანვენლიანი 4009	-	-	82	71	70	85	-	3,5	6,9	70

შენიშვნა: დამტვერვიდან 180 დღის შემდეგ ხურმის ყველა ვარიაციის ნაყოფი შედის ტექნიკური სიმწიფის ფაზაში.

ცხრილი №7

იზოლაციის გავლენა ხურმის მსხმოიარობასა და ნაყოფის ხარისხზე  
1988-1991 წწ.

ობიექტთა დასახელება	რაოდენობა რიცხვებში									
	საკონტრ. ფავოლ.	ნასკვ. მე-5 დღეს %	ნასკვ. 30-ე დღეს %	ნასკვ. 45-ე დღეს %	ნასკვ. 180-ე დღეს %	ნაყოფის საშუალო წონა ( $\bar{X}$ ) გრამტბში	$S\bar{x}$	საღე- გუსტა- ციო ბალი	თესლი ერთ ნაყო- ფში	რბი- ლობი (R) %
1. ხაძუმე 3400	100	50	27	7	16	45	0,75	3,0	-	85
2. პაჩია 3511	-	47	30	14	9	56	-	3,0	-	80
3. გომოგავი 1317	-	53	33	9	5	50	-	3,0	-	76
4. ჩინბული 1316	-	42	34	16	10	47	-	3,0	2,5	75
5. სიღლესი 1561	-	83	-	3	80	80	-	4,0	0,0	93
6. ჯირო 1642	-	40	36	15	9	56	-	3,0	-	70
7. უურუ 4310	-	46	34	9	11	50	-	3,0	-	71
8. ტანენაში 1146	-	92	-	10	82	96	-	4,0	0,1	93
9. ტამოპანი 6411	-	88	-	7	81	89	-	4,0	0,1	94
10. პაჩია 3575	-	37	41	13	9	53	-	3,0	-	79
11. უურუ 2201	-	41	35	11	13	56	-	3,0	-	79
12. გომოგავი 1919	-	51	30	7	12	60	-	3,0	0,2	76
13. ზემჯიმარუ 3111	-	43	40	10	7	45	-	3,0	-	78
14. გეოლი 2377	-	40	51	6	3	30	-	2,5	-	76
15. ვანვენლიანი 4009	-	46	31	10	13	30	-	2,0	-	70

აღნიშნული მაჩვენებლების მერყეობა იგრძნობოდა უთესლო ავტონომიურ პართენოკარპიულ ვარიაციებშიც. ასე მაგალითად, ვარიაცია სიდლესში გამონასკვის პროცენტი მე-5 დღეს დაეცა 17%-ით, 30-ე დღეს არ შემცირებულა, 45-ე დღეს ის შემცირდა 3%-ით, 180-ე დღეს, კი გამონასკვა შემცირდა 20%-ით. დამტვერვის გამორიცხვა ძლიერ აისახა ნაყოფის ხარისხზეც, რომელთა სადეგუსტაციო ბალი შემცირდა დაახლოებით 2,5-ჯერ. ასეთივე კანონზომიერება შეიმჩნეოდა სტერილური ჯიშების მიმართაც, როგორიცაა სიდლესი, ტანენაში და ტამოპანი.

### **3.8.3. დამამტვერდიანებლის როლი პაზიასიური სურმის გამოყენების დროს**

